ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
1 თებერვალი **პარასკევი** 2013
№025 (13 941) ფასი 80 თეთრი



ჩემპიონის სიტყვა

## ვეცდები, მომავალშიც გავახარო ჩემი ქვეყანა

# ლაშას დღე

# 2012 წლის №1

# 21

8-9

## გუშინ „ლელომ“ მკითხველთა რჩეული, იუბილარი ლაშა შავდათუაშვილი დააჯილდოვა



# ახალი კაპიტანი

12

ტრანსფერის საათი

**31 იანვარს, ღამით ევროპაში დასრულდა სატრანსფერო სეზონი. ტრადიციულად, ბოლო საათებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ტრანსფერი განხორციელდა**



### ზესტაფონის დაცვას ესპანელი ორიოლ ლოსანო ფარანი გაანათებს

■ ■ ■

„ბარსელონამ“ სეზონის ბოლომდე ამსტერდამის „აიაქსში“ გაანათხოვრა 21 წლის **ისააკ კუენკა.**

■ ■ ■

„სტოკ სიტიში“ აშშ-ის ნაკრების 22 წლის წევრი **ბრეკ ში** გადავიდა.

■ ■ ■

„იუვენტუსიდან“ „ფენერბაჰჩეში“ გადავიდა 27 წლის შვეიცარიელი **რეტო ციგლერი.**

■ ■ ■

მახაჭყალის „ანჟი“ 35 მილიონ ევროს გადაუხდის „შახტარს“ ბრაზილიელი ლეგიონერის**, ვილიანის** სანაცვლოდ.

■ ■ ■

„ფულჰემმა“ „აიაქსისგან“ სეზონის ბოლომდე ითხოვა ნახევარმცველი **ეიონგ ენო.**

■ ■ ■

„სტოკ სიტიმ“ ბოლოსდაბოლოს მაინც იყიდა „ბირმინგემის“ მეკარე **ჯეკ ბატლენდი** 4,6 მილიონ ევროდ.

■ ■ ■

**ალუ დიარა** „ვესტ ჰემმა“ „რენში“ გაანათხოვრა.

■ ■ ■

მილანის „ინტერმა“ „ატალანტას“ **ესეკიელ სკელეტო** დაიმატა, **მარკო ლივაია** კი ამ გუნდში იჯარით გაუშვა. მილანელებმა „ლაციოს“ მეკარე **ხუან კარლოს კარისო** იჯარით აიყვანეს.

■ ■ ■

„ველეს სარსფილდმა“ „ვალენსიას“ არგენტინელი ნახევარმცველი **ფერნანდო გაგო** ითხოვა.

■ ■ ■

„მალაგას“ მცველი **ნაჩო მონრეალი** „არსენალში“ წავიდა. სამაგიეროდ, „მალაგამ“ ჩილელი **პედრო მორალეში** დაიმატა.

■ ■ ■

„მილანმა“ „ბრეშადან“ ნახევარმცველი **ბარტოშ სალომონი** გადაიბირა.

■ ■ ■

პსჟ-ელი **მოჰამედ სისოკო** არენდით „ფიორენტინაში“ გადავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




# პარიზელი

**ბექჰემი პსჟ-ში იბრასთან ერთად**



# ათი

ევროლიგაზე სასტარტო ხუთეულში მორიგი მატჩი ჩაატარა **გიორგი შერმადინმა**. მისმა „ოლიმპიაკოსმა“ თურქულ „ფენერბაჰჩეს“ უმასპინძლა და 82:71 დაამარცხა.

გიორგიმ 8 ქულა, 3 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი მოაგროვა.

**ვიქტორ სანიკიძემ** „ბარსელონას“ წინააღმდეგ კატალონიაში ითამაშა და მისმა „მონტეპასკიმ“ 66:85 დათმო.

ქართველმა ფორვარდმა შერმადინის 8 ქულას კიდევ ორი მიამატა და ჩვენიანთა მონაგარი დაამრგვალა - 10 ქულა. სანიკიძის სრული სტატისტიკა ასეთი იყო: 15 წუთი, 2 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა.

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტამ“ „ტორონტო“ 93:92 დაამარცხა. ზაზას არ უთამაშია, აქილევსის მყესი აქვს დაზიანებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

U21




# გრანდებიდან მხოლოდ ჰოლანდია გვერგო

### წინამორბედზე უფრო იღბლიანი წილისყრა

გუშინ უეფას შტაბბინაში ევროპის 21-წლამდელთა 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა გაიმართა. საქართველოს ნაკრები, რომელიც მეოთხე კალათაში იყო განთესილი, რიგით მესამე ჯგუფში მოხვდა და მეტოქეებად ჰოლანდია, შოტლანდია, სლოვაკეთი და ლუქსემბურგი ერგო.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ წილისყრის შედეგები ჩვენთვის საკმაოდ ნორმალურია. პირველი კალათიდან ჰოლანდია კი გვერგო, მაგრამ ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, იქ სულ სახელოვანი ქვეყნები იყვნენ. წინა ციკლთან შედარებით, როცა მეტოქეებად ესპანეთი და შვეიცარია გვყავდა, ამ ჯგუფში თუნდაც მეორე ადგილისთვის ბრძოლა რეალურად მოჩანს. მეორე კალათიდან **ალექსანდრე ჩივაძის** გუნდის მოწინააღმდეგე შოტლანდიის მაგივრად, შეიძლებოდა, პორტუგალია ყოფილიყო.

2015 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს ჩეხეთი უმასპინძლებს, რომელიც, რა თქმა უნდა, საკვალიფიკაციო ციკლისგან თავისუფალია. ჩეხეთის საგზურს ავტომატურად ვერავინ მოიპოვებს – ათი ჯგუფის გამარჯვებული და ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი შვიდ საპლეიოფო წყვილს შექმნიან და ფინალურ ეტაპზე ამ წყვილების გამარჯვებულები იასპარეზებენ.

გადავხედოთ ყველა ჯგუფის შემადგენლობას:

I ჯგუფი: **ინგლისი, უელსი, ფინეთი, მოლდოვა, ლიტვა, სან მარინო**

II ჯგუფი: **რუსეთი, დანია, სლოვენია, ბულგარეთი, ანდორა, ესტონეთი**

III ჯგუფი: **ჰოლანდია, შოტლანდია, სლოვაკეთი, საქართველო, ლუქსემბურგი**

IV ჯგუფი: **ესპანეთი, ავსტრია, უნგრეთი, ბოსნია, ალბანეთი**

V ჯგუფი: **შვეიცარია, უკრაინა, ხორვატია, ლატვია, ლიხტენშტაინი**

VI ჯგუფი: **გერმანია, რუმინეთი, ჩერნოგორია, ირლანდია, ფარერები**

VII ჯგუფი: **შვედეთი, თურქეთი, საბერძნეთი, პოლონეთი, მალტა**

VIII ჯგუფი: **ისრაელი, პორტუგალია, ნორვეგია, მაკედონია, აზერბაიჯანი**

IX ჯგუფი: **იტალია, სერბეთი, ბელგია, კვიპროსი, ჩრდილოეთ ირლანდია**

X ჯგუფი: **საფრანგეთი, ბელარუსი, სომხეთი, ისლანდია, ყაზახეთი**

თავიდანვე გარკვეული იყო, რომ რუსეთისა და საქართველოს ნაკრებები ერთ ჯგუფში არ უნდა მოხვედრილიყვნენ.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორი **ნიკოლოზ ჩხეიძე** ნიონში არიან და მეტოქე ქვეყნების ფედერაციების წარმომადგენლებთან კალენდარზე მსჯელობენ.

შესარჩევი ტურნირი ამა წლის 22 მარტს იწყება და 2014 წლის 9 სექტემბერს სრულდება. პლეი ოფები 2014 წლის ოქტომბერში გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U16

# უგოლო სპარინგი ყაზახებთან

| 31.01. თბილისი. მ. მესხი | |
|---|---|
| საქართველო-ყაზახეთი | 0:0 |

საქართველო: **კილუა, თვარაძე, კევლიშვილი, კაკიაშვილი, ნადარაია, კაციტაძე, ქორიძე, ბიძინაშვილი, გოშთელიანი, მიქელთაძე, ლაშხია.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ბენდიანიშვილი, აბელაშვილი, გუჩუა, ნ. ბაშალეიშვილი, მ. ბაშალეიშვილი, ჟვანია, კუხალეიშვილი, ნემსაძე, ძარია, გვარაძე, კაპანაძე.**

მწვრთნელი: **ნ. აკობია**

გუშინ საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები "მიხეილ მესხზე" ყაზახეთს ამხანაგურად შეხვდა და აშკარა უპირატესობის მიუხედავად, მეტოქის კარის დალაშქვრა ვერ შეძლო. ცნობისთვის, ყაზახეთის 16-წლამდელთა ნაკრები საქართველოში 21 იანვარს ჩამოვიდა და შეკრებას ზუგდიდში, "ბაიას" საწვრთნელ ბაზაზე გადის.

აღნიშნული შეკრება საქართველოსა და ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციებს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ეწყობა. სფფ-ის ვებგვერდის ცნობით, მემორანდუმი ითვალისწინებს ორმხრივ თანამშრომლობას, ამხანაგურ მატჩებს, გაცვლით პროგრამებს, საწვრთნელ შეკრებებსა და სხვა საფეხბურთო ღონისძიებებს. შესაბამისად, უახლოეს პერიოდში ქართული ნაკრებების ყაზახეთში ვიზიტებია მოსალოდნელი.

2 თებერვალს, 14 საათზე, "მიხეილ მესხზე" ყაზახი 16-წლამდელები **გოჩა ტყებუჩავას** მიერ გაწვრთნილ ქართველ 15-წლამდელებს გაეჯიბრებიან, 4 თებერვალს კი სამშობლოში დაბრუნდებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ზესტაფონი

# სამი პატარა ამბავი

### ესპანელი ფეროელთა ბანაკში

"ზესტაფონი" თურქულ შეკრებას განაგრძობს და პირველი საკონტროლო მატჩისთვის ემზადება. ვიდრე დღევანდელ შეხვედრას შევეხებოდეთ, საქართველოს მოქმედი ჩემპიონის ბანაკიდან მიღებულ ბოლო სიახლეს გაგაცნობთ.

"ზესტაფონს" შეუერთდა 31 წლის ესპანელი ცენტრალური მცველი **ორიოლ ლოსანო ფარანი**, რომელიც 2003-დან 2010 წლამდე სანტანდერის "რასინგში" თამაშობდა. ამ ხნის განმავლობაში, მან პრიმერა დივიზიონში 119 მატჩი ჩაატარა. "რასინგი" ამჟამად სეგუნდა დივიზიონში ასპარეზობს.

"რასინგის" შემდეგ ლოსანო ბერძნული "არისის" ღირსებას იცავდა, ბოლო სეზონში კი სეგუნდას ბინადარ "მურსიაში" გამოდიოდა.

ლოსანო კატალონიაშია დაბადებული და კარიერა ამ მხარის წარმომადგენელ "ლეიდაში" დაიწყო, "რასინგამდე" კი "ონდასა" და "ოსპიტალეტის" ფეხბურთელი იყო.

ორიოლს პრიმერა დივიზიონში ერთი გოლი აქვს გატანილი – 2007 წლის 17 მაისს მან "მესტალიაზე" "ვალენსიას" კარი დალაშქრა. ის მატჩი "რასინგმა" 2:0 მოიგო, ლოსანოს ანგარიშზე კი მეორე გოლია.

უახლოეს დღეებში გაირკვევა, გააგრძელებს თუ არა ლოსანო საქართველოში კარიერას.

სავარაუდოდ, "ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბი ანთალიაში კიდევ რამდენიმე სავარაუდო ლეგიონერ ახალწვეულს დააკვირდება.




ორიოლ ლოსანო ფარანი

### რეკრუკი სარაგოსასგან თავისუფალია

"ზესტაფონის" მწვრთნელთა მოწონება უკვე დაიმსახურა ალჟირელმა თავდამსხმელმა **მოჰამედ რეკრუკმა**, რომელსაც 20 წელი საქართველოში ყოფნისას შეუსრულდა. იგი ესპანური "სარაგოსას" საკუთრება იყო და მისი მეორე გუნდის შემადგენლობაში ასპარეზობდა.

"სარაგოსას" ოფიციალურ ვებგვერდზე საინტერესო ინფორმაციას ვკითხულობთ – კლუბი დადებითად აფასებს რეკრუკის "ზესტაფონში" გადასვლის პერსპექტივას და ამიტომ მასთან კონტრაქტს წყვეტს, რათა რეკრუკს პროფესიული ზრდისა და განვითარების საშუალება მიეცეს. "სარაგოსა" იმედს გამოთქვამს, რომ მოჰამედი საქართველოში თავს კარგად გამოავლენს და მას წარმატებებს უსურვებს. "მოჰა" – ასეთია რეკრუკის მეტსახელი, რაც მოჰამედის შემოკლებული ვარიანტი უნდა იყოს.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, როგორი გამოდგება რეკრუკის ქართული კარიერა. "ზესტაფონის" შემადგენლობაში ჩატარებულ საკონტროლო შეხვედრაში მან დადებითი შთაბეჭდილება დატოვა - ბათუმის "დინამოსთან" მატჩში დუბლი შეასრულა.



ზესტაფონი სიდეში

### დღეს პირველი სპარინგია

დღეს კი ანთალიურ შეკრებაზე "ზესტაფონი" პირველ სპარინგს გამართავს. ფეროელთა მეტოქე აზერბაიჯანული "ყარაბახი" იქნება. "ყარაბახი" თავისი ქვეყნის ერთგზის ჩემპიონი და თასის სამგზის მფლობელია. ამ გუნდის შემადგენლობაში არაერთი წარმატებული სეზონი ჩაუტარებია **გიორგი ადამიას**, რომელიც ამჟამად ბაქოს "ინტერის" ღირსებას იცავს.

დღეისთვის "ყარაბახი" აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში მესამე ადგილზეა, თუმცა ლიდერ "ინტერს" მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონობის შანსს ერთბაშად ხუთი კლუბი ინარჩუნებს – **კახა ცხადაძის** "ინტერი", **გიორგი ჩიხრაძის** "სიმურგი", "ყარაბახი", "ნეფჩითი" და "გაბალა".

"ყარაბახს" 40 წლის აზერბაიჯანელი **ყურბან ყურბანოვი** წვრთნის. აზერბაიჯანის ნაკრების წევრების გარდა, გუნდს ჰყავს ხორვატი, ალბანელი, მაკედონიელი, ბრაზილიელი და ეგვიპტელი ლეგიონერები.

"ზესტაფონის" მომდევნო სპარინგების ჩამონათვალი ასეთია:

3 თებერვალი: "რუხი" (პოლონეთი);
5 თებერვალი: "ვორსკლა" (უკრაინა);
9 თებერვალი: "ლეხია" (პოლონეთი).

ფეროელთა ბოლო თურქული ტესტ-მატჩი 12 თებერვლისთვის არის დანიშნული. "ზესტაფონის" ბოლო მეტოქის ვინაობა დღე-დღეზე გახდება ცნობილი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# ხაზარი ქართველებით დაინტერესდა

აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბი ლენქორანის "ხაზარი" ორი ქართველით დაინტერესდა. აზერებმა თვალი **მამუკა ღონღაძესა** და **მამუკა ლომიძეს** დაადგეს. ინფორმაცია სანდო წყარომ მოგვაწოდა. "ხაზარის" ხელმძღვანელობა გაეცნო ინფორმაციას ქართველ მოთამაშეებზე და ორივე საინტერესო ფეხბურთელად ჩათვალა.

27 წლის ღონღაძეზე ბოლო დროს ბევრჯერ დავწერეთ: ლატვიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, თავდამსხმელი და ფეხბურთელი ვლადიკავკაზის "ალანიაში" მიიწვიეს, მაგრამ რუსეთის პრემიერლიგის კლუბი პირველი შეკრების შემდეგ დატოვა.

ღონღაძეს უკვე შესთავაზეს პოლონურ (ლოძის "ვიძევი"), უკრაინულ, უნგრულ და ყაზახურ კლუბებში გადასვლა, მაგრამ ჯერ ზუსტად არ იცის, "დაუგავასთან" მოლაპარაკება როგორ დასრულდება. ლატვიაში დაბრუნების სურვილი კი არ გააჩნია. თუნდაც იმიტომ, რომ "დაუგავაში" არც ისე საუკეთესო პირობები აქვს. დაუგავპილსურ კლუბს ქართველის ტრანსფერი 2013 წლის ნოემბრამდე ეკუთვნის.

28 წლის მცველს, მამუკა ლომიძეს უთამაშია რუსეთის "როსტოვსა" (2003–2004) და პირველი დივიზიონის ნოვოსიბირსკის "სიბირში" (2004-2005), თბილისის "დინამოში" (2005-2006, 2011-2012), მოლდოვურ "ზიმბრუსა" (2006 – 2007) და "დაჩიაში" (2010-2011), სლოვაკურ "რუჟემბეროკში" (2009-2010). იყო საქართველოს 17, 19-წლამდელთა და ახალგაზრდული ნაკრებების წევრი.

ლომიძე 2012 წლის იანვარში "დინამოში" ჩაირიცხა და გუნდთან 6-თვიანი კონტრაქტი გააფორმა. მაგრამ თბილისური კლუბი ზაფხულში დატოვა და ტრავმის გამო, კარგა ხანია, უგუნდოდ დარჩა. მერე პოლონურ "ლეხში" ვარჯიშობდა, თითქოს, მისი ჩარიცხვა გადაწყვეტილიც იყო. თუმცა, საბოლოოდ, მისი პოზიციის მცველის ინგლისური ტრანსფერი ჩაიშალა, პოლონელებმა კი ზედმეტი ხარჯის გაღება და კონტრაქტის გაფორმება აღარ ისურვეს. ლომიძეს ახლახან ბელარუსში, "გომელში" გადასვლაც შესთავაზეს, რაც მიუღებელი პირობების გამო თავად იუარა.



მამუკა ლომიძე

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "ხაზარი" მნიშვნელოვნად გაძლიერდა: გუნდის მთავარ მწვრთნელად ესპანელი **კარლეს მარტორელ ბაკესი** დაინიშნა, კოტრაქტები გააფორმეს ზაგრების "დინამოს" ყოფილმა მეკარე **ივან ჩოვიჩმა**, "მალაგას" ექსმცველმა **ალვარო სილვამ**, "არმინიას" გაზრდილმა და აზერბაიჯანში ნატურალიზებულმა თავდამსხმელმა **უგურ პამუკმა**, "ბეშიქთაშის" ყოფილმა თავდამსხმელმა **გოკხან გულეჩმა**...

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

# ქეცბაიას ინიციატივის ესტონური მოდელი

## როგორ გავზარდოთ ნიჭიერი ფეხბურთელები?

ყველა აღიარებს, რომ საქართველოში ნიჭიერი ახალგაზრდები იბადებიან. შესაძლოა, ვიღაცას ეს შეხედულება გადაჭარბებული ჰგონია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ასაკობრივი ნაკრებები ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებში ბევრად უფრო წარმატებით ასპარეზობენ, ვიდრე ეროვნული ნაკრები.

საქართველოში სხვადასხვა დროს გვსტუმრობნენ მილანის „ინტერის" ერთ–ერთი წარმომადგენელი **ჯან-ფრანკო ბედინი**, „აიაქსისა" და „ბაიერნის" მთავარი სკაუტები, ფიფას ინსტრუქტორი **ოლდრიხ შვაბი** და ყველა მათგანი ამბობდა, რომ ბევრგან არ უნახავთ იმდენი ნიჭიერი ბავშვი, რამდენიც საქართველოში. იმავე აზრისაა თბილისის "დინამოს" ლიდერი, ესპანელი **ჩისკოც**.

თუმცა, ეს ნიჭი წყევლასავით გვექცა, გვაქვს და ვერ ვიყენებთ. დიდი ხანია მიდის მსჯელობა, ქართული ფეხბურთის პოტენციალი როგორ გამოვიყენოთ. ალბათ, ამას ემსახურებოდა კიდეც 14 იანვარს ფეხბურთის ფედერაციაში 12-თა საბჭოს წევრებთან **თემურ ქეცბაიას** მიერ გაჟღერებული ინიციატივა, რაც ახალგაზრდა ფეხბურთელების მეტ დასაქმებას გულისხმობდა. ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა უმაღლესი ლიგის გუნდებს ძირითად შემადგენლობაში 21-წლამდელი 2 ახალგაზრდის თამაშის დაკანონება შესთავაზა.

ქეცბაიას აზრით, ასეთი გადაწყვეტილებით, ასაკობრივი ნაკრებების კანდიდატები სათამაშო პრაქტიკას მიიღებენ და გაიზრდებიან.

კლუბების წარმომადგენლებს შეთავაზებაზე არაერთგვაროვანი პოზიცია ჰქონდათ: "ზესტაფონის" პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** მხარდაჭერა გამოხატა, რუსთავის "მეტალურგის" გუნდის უფროსი **ირაკლი ქავთარაძე** კი ახალგაზრდების კანონის ძალით დასაქმება-გამოყენებაში გამოსავალს ვერ ხედავს და ამბობს, რომ შესაძლოა, ამან კლუბებში უხერხულობა გამოიწვიოს.

ჯერ კლუბებს ამ წინადადებაზე საბოლოო პოზიცია არ დაუფიქსირებიათ. ამიტომ, საინტერესო უნდა იყოს, ამ კუთხით ესტონელთა გამოცდილებისა და ინიციატივების გაცნობა. ეს ბალტიური ქვეყანა იმ იშვიათ გამონაკლისებს განეკუთვნებოდა, რომელსაც საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში გუნდი არასოდეს ჰყოლია. მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ ესტონეთის ნაკრებმა გასაოცარ პროგრესს მიაღწია: 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში პლეი ოფამდე მივიდა!

ესტონეთში სულ 1,3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და ცხადია, მწირი საფეხბურთო რესურსი აქვთ, თუმცა ამას მაქსიმალურად იყენებენ. ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, **აივარ პოლაკმა** ფეხბურთის განვითარების პროგრამა შეიმუშავა და წარმატებით განახორციელა. მისი მოთხოვნით, ყველა სოფელში მიავლინა მწვრთნელები და გუნდები ჩამოაყალიბა, შერჩეული ფეხბურთელებისგან შედგენილი ნაკრებები კი ტალინში რეგიონთა თასზე მონაწილეობენ.

პარალელურად, პოლაკმა მწვრთნელები მიიწვია გერმანიიდან, ჰოლანდიიდან, ირლანდიიდან, რომლებიც არა მხოლოდ კლუბებსა და ნაკრებებში მუშაობდნენ, არამედ ადგილობრივი სპეციალისტების გაზრდაზეც ზრუნავდნენ და დღემდე ზრუნავენ. ეს პროცესი წლები გრძელდებოდა, ერთი სეზონიც არ ჩაუგდიათ და შედეგიც მიიღეს. დროთა განმავლობაში წამოიზარდა საკმაოდ ნიჭიერი მოთამაშეთა და მწვრთნელთა თაობა. ესტონეთში ოდესღაც არაპოპულარული ფეხბურთი დღეს კონკურენციას უკვე კალათბურთს უწევს, რაც ჩრდილოეთის ცივ ქვეყანაში დიდი მიღწევაა.

ამიტომ დავინტერესდით ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციის მორიგი ინიციატივით, რაც ასევე ადგილობრივი მოთამაშეების გაზრდის სურვილით არის განპირობებული და ქეცბაიას ჩანაფიქრის სხვაგვარ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. ამიერიდან ესტონეთის უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბებისთვის იმოქმედებს ახალი კანონი "ესტონეთში მომზადებული მოთამაშეების" შესახებ.

"ესტონეთში მომზადებული მოთამაშის" სტატუსი მიეკუთვნება მათ, ვისაც ამ ქვეყნის ნაკრებებში თამაშის უფლება აქვთ, ქვეყნის მოქალაქეა და ესტონეთში 7 სეზონი უთამაშია.



აივარ პოლაკი

*"2013 წლიდან, კლუბები ვალებულები არიან, 30 მოთამაშიდან 24 იყოს "ესტონეთში მომზადებული". მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი ფეხბურთისა და ადგილობრივი ახალგაზრდა მოთამაშეების დონის ზრდას ხელს შეუწყობს. ლაპარაკია არა მხოლოდ მათ რაოდენობაზე, არამედ მომზადების ხარისხსა და სათამაშო პრაქტიკაზეც. ჩვენი ნაკრებები წარმატებულები მხოლოდ მაშინ იქნებიან, თუ ესტონელ მოთამაშეებს გაზრდაში ხელს გარემოც შეუწყობს. 2015 წლიდან კლუბები ვალდებულები იქნებიან, განაცხადში "ესტონეთში მომზადებული" 25 მოთამაშე შეიყვანონ, 2017-ში კი – 26"* – განაცხადა პოლაკმა.

გარდა ამისა, 2015 წელს ამოქმედდება "კლუბში მომზადებული მოთამაშის" სტატუსი. კლუბები ვალდებულები იქნებიან, განაცხადში საკუთარი გაზრდილების კონკრეტული რაოდენობა შეიყვანონ. ლაპარაკია მოთამაშეებზე, რომლებიც 12-დან 21 წლამდე კლუბში არანაკლებ 4 სეზონი ვარჯიშობდნენ. 2015 წელს განაცხადში ასეთი მინიმუმ ერთი მოთამაშე მაინც უნდა იყოს, 2018 წელს – 2, 2021 წელს კი - 3.

ვფიქრობთ, ესტონელთა ინიციატივები ყურადღებას იმსახურებს და თუ ქეცბაიას მოსაზრებასთან "დავამყნობთ", საინტერესო და, რაც მთავარია, მისაღები სინთეზი გამოვა.

**მერაბ მამულაშვილი**

რეგიონი. ახალი საფეხბურთო ცენტრი



# ფანჯარა ევროპაში, ადგილი ტრიბუნაზე

რომელიც ლიგაც უნდა იყოს, სატურნირო ცხრილის ლიდერის შესახებ ინფორმაცია გულშემატკივრისთვის მუდამ საინტერესოა. მით უფრო, როცა ცხრილის სათავეში მოქცეულ გუნდს შთამბეჭდავი უპირატესობა აქვს უშუალო მდევრებთან. მეორე ლიგის აღმოსავლეთ ზონაში პირველ ადგილზე მყოფი გორის „ქართლი 2011" ნაუგებლად ასპარეზობს: პირველ წრეში ჩატარებული 13 მატჩიდან ერთი ფრე ითამაშა, დანარჩენი ყველა კი მოგებით დაასრულა (ბურთების სხვაობა 46 : 4)! „ქართლი 2011"-ის შემადგენლობა მხოლოდ ადგილობრივი კადრებითაა დაკომპლექტებული. აქ რამდენიმე ისეთი ფეხბურთელიც ასპარეზობს, უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება რომ აქვს. გუნდს წვრთნიან გორელი სპეციალისტები, **ემზარ წკრიალაშვილი** და **ლავრენტი ბოლოთაშვილი**. 2011 წლის დეკემბერში ჩამოყალიბებული საფეხბურთო აკადემია „ქართლი 2011"-ის და საფეხბურთო კლუბ „ქართლი 2011" -ის სახით გორში, „დილას" შემდეგ ფაქტობრივად მეორე, ძლიერი საფეხბურთო ცენტრია ამოქმედებული. კლუბის მზარდი ინფრასტრუქტურული განვითარებიდან, შემადგენლობიდან, ფინანსური ზურგიდან და სატურნირო ცხრილში არსებული მნიშვნელოვანი უპირატესობიდან გამომდინარე, ამ გუნდის პირველ ლიგაში ალზევება გასაკვირი არ იქნება, თუმცა საბოლოო მიზანი გაცილებით შორსმიმავალია.

კლუბი რუსეთში მოღვაწე გორელი ბიზნესმენის, 45 წლის **პაატა ფილიევის** ინიციატივითაა დაფუძნებული. იგი თავადაც ყოფილი ფეხბურთელი (მეკარე) გახლავთ, რომელიც შემდეგ უცხოეთში წავიდა, წარმატებით შეუდგა კომერციულ საქმიანობას და ბუნებრივია ფეხბურთის დიდი სიყვარულით იყო ნაკარნახევი, რომ დაგროვებული კაპიტალი გორში, კერძოდ, ფეხბურთში დააბანდა.

ამ ცოტა ხნის წინ კლუბის კონსულტანტი გახდა **გია დაუშვილი**, რომელსაც რუსეთის პირველი ლიგის სხვადასხვა საფეხბურთო კლუბის სტრუქტურაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

ამბიციური სამომავლო მიზნებით ჩამოყალიბებულმა საფეხბურთო აკადემიამ ძირითადი აქცენტი გააკეთა გორის რაიონის სოფლის ბავშვებზე, კერძოდ შინდისში, ხელთუბანში, ზელდულეთსა და ქვახვრელში ჩამოაყალიბა თავისი ფილიალები. აკადემიაში მთლიანად 400-ზე მეტი ბავშვი ვარჯიშობს. ისინი მონაწილეობენ შიდა ქართლის ჩემპიონატში სამ ასაკობრივ ჯგუფში და ამის გარდა აკადემია ორგანიზებას უწევს შიდა, ფილიალებს შორის ჩემპიონატს, სადაც მონაწილეობს 20 გუნდი. საფეხბურთო აკადემია „ქართლი 2011"-ს აქვს თავისი ჰიმნი, გერბი, დროშა და ვებ-გვერდი (http://fakartli2011.com/), სადაც ოპერატიულად, მატჩის დასრულებისთანავე განათავსებს მისი ყველა ასაკობრივი გუნდის მიერ გამართულ შეხვედრათა შედეგებს. აკადემიამ თავიდანვე ლიცენზირებული მწვრთნელები ჩაუყენა ასაკობრივ ჯგუფებს სათავეში. საფეხბურთო აკადემიის ინიციატივით განვლილი წლის მაისში ერთობ მასშტაბური ტურნირის ორგანიზება მოხდა, რომელიც აფხაზეთში დაღუპული ადგილობრივი ფეხბურთელის **სტანისლავ ბურაკოვის** ხსოვნისადმი იყო მიძღვნილი. ორ ასაკობრივ (2000-2001 და 2002-2004 წწ) ჯგუფში გამართულ შეჯიბრებაში გორის და გორის რაიონის 58-ე საჯარო სკოლის გუნდი იღებდა მონაწილეობას. ერთი თვის განმავლობაშიჩატარდა 179 მატჩი. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებამ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. სპონსორის ხელშეწყობით თასები და ფინანსური წახალისება მხოლოდ გამარჯვებულ გუნდებს და ნომინაციების მიხედვით საუკეთესო მოთამაშეებს კი არა, ყველაზე აქტიურ გულშემატკივართა ჯგუფსაც კი გადაეცა.

ადვილი მისახვედრია, რომ აკადემიას და კლუბს ეკიპირებისა და სხვა პრობლემები არა აქვს. მათი უმთავრესი საწუხარი ამ ეტაპზე სტადიონი და ბაზაა. *„არაერთი მცდელობის მიუხედავად ჩვენთვის გადმოსაცემი არენა, ან სტადიონის ასაშენებელი ტერიტორია გორში ვერ გამოინახა. ამის გარდა, წინა ხელისუფლების პირობებში ვერ მოგვარდა გორის მუნიციპალიტეტის ბალანსზე მქონე სოფელ ტინისხიდის საფეხბურთო სტადიონის რაიმე იურიდიული ფორმით ჩვენთვის გადმოცემის საკითხი. ახლა კი, დიდი იმედი გვაქვს, რომ ქალაქის ახალი ხელმძღვანელობის პირობებში ეს საკითხი დადებითად გადაწყდება. გარდა ამისა, გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელთან მიწა შევიძინეთ, სადაც თანამედროვე სტანდარტების შესაფერის ბაზას და რამდენიმე ათას მაყურებელზე გათვლილ სტადიონს ავაშენებთ. სხვათა შორის, ბატონი პაატა ფილიევის უმთავრესი მიზანია, რომ უმაღლეს ლიგაში გადასვლის და იქ წარმატებული ასპარეზობის შემდეგ, ევროტურნირებზე გასულმა „ქართლი 2011"- მა საშინაო შეხვედრები გორში, საკუთარ სტადიონზე ჩაატაროს"* - გვითხრა აკდემიის დირექტორმა **გელა ნადირაძემ**.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ლეგიონერი

# მირცხულავა ნაკრებში დაბრუნებას იმედოვნებს



ბაქარ მირცხულავა

ანტალიურ შეკრებაზე კიშინიოვის "ზიმბრუმ" პირველი საკონტროლო შეხვედრა ითამაშა. მოლდოვურმა კლუბმა, სადაც სამი ქართველი ირიცხება, აზერბაიჯანულ "ხაზართან" 1:2 წააგო.

გუნდის ქართველი ახალწვეული, **კოტე გაბაშვილი**, ეტყობა, მართლაც კარგ ფორმაშია. თავსხმა წვიმაში ჩატარებულ მატჩში კიშინიოველები პირველ ტაიმში სწორედ მან დააწინაურა. "ზიმბრუს" სამივე ქართველმა: გაბაშვილმა, **ბაქარ მირცხულავამ** და **თორნიკე სტეფნიაშვილმა** თამაში ძირითად შემადგენლობაში დაიწყეს – ბოლო ორმა სრულად ითამაშა, გაბაშვილი კი 75-ე წუთზე შეცვალეს.

ბაქარ მირცხულავა "ლელოსთან" ამბობს, რომ მოლდოვურ კლუბში შეკრება ძალიან წაადგა: *"ორი კვირა იქნება, რაც "ზიმბრუში" ვემზადები. ანტალიაში, "ხაზარის" გარდა, კიდევ 4 საკონტროლო შეხვედრას ჩავატარებთ, შემდეგ კი რუმინეთში 2 თამაში გვექნება. დაიწყება მოლდოვის ჩემპიონატი და დარწმუნებული ვარ, ფორმის აღდგენას მოვახერხებ, რადგან უკეთესობას უკვე ვგრძნობ და ნელ-ნელა ძველ კონდიციებს ვიბრუნებ. იმედია, რომ მერე ახალგაზრდულ ნაკრებში შანსს ისევ მომცემენ... სულ ნაკრებებში ვიყავი, სხვადასხვა ასაკობრივ გუნდში 40-ზე მეტი თამაში მაქვს ჩატარებული და ბუნებრივია, თამაში ისევ მინდა. უკვე 2 წელია, რაც ნაკრებში აღარ მიძახებენ, რადგან საქართველოში დაბრუნებულს არ მითამაშია და დრო გამიცდა. არადა, ნაკრების შეკრება და იქ ვარჯიშიც მომენატრა. საერთოდ, "ზიმბრუში" დიდი ხნით დარჩენა არ მსურს და უფრო მაღალ დონეზე ვფიქრობ. თუმცა, დიდი ხნის უთამაშებლობის შემდეგ, ესეც კარგი ვარიანტია და ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული"*.

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას!

დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1 მარტიდან დაიწყება.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14 წლის ჩათვლით
დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში მიღების წესი

გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge
ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.
დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N 2
რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.
მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

## უცხოური ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIV ტური. შეჯამება



უეინ რუნიმ მანჩესტერ იუნაიტედს სამი ქულა მოუტანა

# დადებითი ტესტი ემირატსზე

„არსენალმა“ და „ლივერპულმა“ გულშემატკივარს დაუვიწყარი შეხვედრა შესთავაზეს. „მეთოფეთა“ კარში პირველი ბურთი უცნაურ ვითარებაში გავიდა. ჯერ **ბაკარი სანიას** მოუცურდა ფეხი, **გლენ ჯონსონმა** ამით ისარგებლა და გამჭოლი გადაცემა გააკეთა საჯარიმოში, რომელსაც **ტომას ვერმალენმა** ფეხი ააცილა. ბურთი ამჯერად **დენიელ სტარიჯს** მიუვიდა. მისი დარტყმა **ვოიცეხ შჩესნიმ აარონ რემსისკენ** მოიგერია. უელსელმა ბურთი ნორმალურად ვერ გამოიტანა და **ლუის სუარესს** მიუგორა. ურუგვაელმა კი ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო და გაიტანა. მოკლედ, დიდი გაუგებარი სიტუაცია იყო. მეორე ბურთი მასპინძელთა კარში ისევ დაცვის შეცდომას მოჰყვა. **ანდრე სანტოსმა ჯორდან ჰენდერსონთან** ფიზიკური ორთაბრძოლა წააგო, მას თანაგუნდელები კი წამოეხმარნენ, მაგრამ სტუმართა ნახევარმცველმა მაინც მოახერხა ცარიელ კარში დარტყმა. „არსენალმა“ სამ წუთში მოახერხა სტატუს-კვოს აღდგენა, თუმცა დიდი მცდელობის მიუხედავად, მეტისთვის ძალა აღარ შერჩა. თამაშის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მწვრთნელებმა თავიანთი გუნდები შეაფასეს.

**ბრენდან როჯერსი** (ლივერპული): „დღეს ნამდვილად ამაყი ვარ. „არსენალს“ ამ სეზონში ერთხელ უკვე ვეთამაშეთ და მაშინ შედეგი არადამაკმაყოფილებელი იყო. დღევანდელი შეხვედრა ერთგვარი ტესტი იყო ჩვენი პროგრესის შესაფასებლად. შევძლო და, ვფიქრობ, უნდა მოგვეგო კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ ეს ვერ მოვახერხეთ, დავამტკიცეთ, რომ მორალური თვალსაზრისით მყარად ვგავართ ფეხზე და არც ოსტატობა გვაკლია. 2:0-ის შენარჩუნება სათანადოდ დიდხანს ვერ შევძელით. როცა გაგვიჭირდა გადავწყვიტე მარცხენა ფრთაზე ხოსე ენრიკე შემეშვა, თუმცა მან ბუცების ჩაცმაც კი ვერ მოასწრო, ისე სწრაფად მივიღეთ ორი გოლი. არ გამკვირვებია, რომ „არსენალმა“ ასე იოლად მოახერხა გათანაბრება, რადგან ჩვენი მეტოქე ძალიან ძლიერი გუნდია. მართალია, სეზონის ლიდერებთან მოგებას ვერ ვახერხებთ, მაგრამ ამის გამო დიდად არ ვნერვიულობ. იმედია, გულშემატკივრები ხედავენ იმას, რასაც მე, რომ გუნდი სულ უფრო იკრებს ძალას. მომავალ უქმეებზე შეგვიძლია „მანჩესტერ სიტი“ დავამარცხოთ და თუკი მოვახერხეთ, ეს იქნება კიდევ ერთი დასტური, რომ სწორი მიმართულებით ვვითარდებით“.

**არსენ ვენგერი** (არსენალი): „საოცარი სანახაობა იყო. გულწრფელად გეტყვით. ეს მატჩი შეიძლებოდა მოგვეგო, მაგრამ ისიც არ იყო გამორიცხული, რომ 3-4 ბურთის სხვაობით წაგვეგო. ძალიან ბევრი საგოლე შანსი გვქონდა, რომელთა უმეტესობა გავანიავეთ. დაცვაში კი სტაბილურად ცუდად ვთამაშობდით. გოლები ჩვენს კარში უკანა ხაზის მოთამაშეთა ნერვიულობის დამსახურება იყო. ვვარგოდით მხოლოდ შეტევაში. პრინციპული საშინაო თამაშის წინ გუნდს მუხლების კანკალი ეწყება და ამ უარყოფითი ფსიქოლოგიური ფაქტორის დამარცხება უნდა ვისწავლოთ. უბრალოდ ფეხბურთზე უნდა ვიფიქროთ. მაინც მჯერა, რომ „არსენალს“ ბევრი რამ შეუძლია, თუკი წინა წარუმატებლობებს სამუდამოდ ამოიგდებს თავიდან“.

### ბომბარდირები

18 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
17 - **ლუის სუარესი** (ლივერპული)
14 - **დემბა ბა** (ნიუკასლი/ჩელსი)
13 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი)

### ასისტენტები

9 - **ლუკას პოდოლსკი** (არსენალი), **ხუან მატა** (ჩელსი)
8 - **სტივენ ჯერარდი** (ლივერპული)
7- **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი), **ედენ აზარი** (ჩელსი), **დემიენ დაფი** (ფულჰემი), **თეო უოლკოტი** (არსენალი)

### გოლი+პასი

24 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 18+6
20 - **ლუის სუარესი** (ლივერპული) - 17+3
18 - **თეო უოლკოტი** (არსენალი) 11+7, **ხუან მატა** (ჩელსი) – 9+9
16 - **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 9+7, **ლუკას პოდოლსკი** (არსენალი) – 7+9
14 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი) - 13+1, **დემბა ბა** (ნიუკასლი) – 14+0, **სანტი კასორლა** (არსენალი) - 8+6, **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი) – 7+7, **სტივენ ჯერარდი** (ლივერპული) - 6+8

### გაფრთხილებები

8 - **დინ უაიტჰედი** (სტოკ სიტი)
7 – **კრეიგ გარდნერი** (სანდერლენდი), **ანხელ რანხელი** (სუონსი), **ლუის სუარესი** (ლივერპული), **ჯეიმს პერჩი** (ნიუკასლი), **მარკ ნოუბლი** (ვესტ ჰემი), **მაიკ უილიამსონი** (ნიუკასლი), **მორგან შნაიდერლინი** (საუთჰემპტონი)

### სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით

1. **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
2. **ხუან მატა** (ჩელსი)
3. **პატრის ევრა** (მანჩესტერ იუნაიტედი)
4. **ლეიტონ ბეინსი** (ევერტონი)
4. **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი)

### ზოგადი სტატისტიკა დღეისთვის

240 მატჩი
165 მოგება
75 ფრე
121 მშრალად შენახული კარები
23 უგოლო მატჩი
684 გოლი
6 ჰეთთრიკი
41 პენალტი
21 ჯარიმა
126 თავით
496 ფეხით (+სხვა)
2.85 საშუალო შედეგიანობა
32 ავტოგოლი
482 ფეხბურთელი
26.0 საშუალო ასაკი
315 ლეგიონერი
71 ეროვნების მოთამაშე
732 ყვითელი ბარათი
29 წითელი ბარათი
8 გაძევება ორი ყვითლით
21 გაძევება წითელი ბარათით

### ტურის მწვრთნელი

„რედინგის“ 51 წლის მთავარი მწვრთნელი **ბრაიან მაკდერმოტი** ერთი პირობა გათავისუფლების კანდიდატადაც სახელდებოდა პრესის მიერ, მაგრამ „არისტოკრატთა“ მესაკუთრე **ანატოლი ზინგარევიჩმა** არ იჩქარა. ნელ-ნელა ვრწმუნდებით, რომ რუს მილიარდერს მოთმინება დაუფასდა კიდეც. „რედინგი“ უკვე ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდა ყველასთვის. ეს იმის გათვალისწინებით, რომ მას 24-დან 19 ტური გასავარდნ ზონაში აქვს გატარებული. „ჩელსის“ ბოლო წუთებზე მოდუნება ძალიან ძვირი დაუჯდა. შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა „ლურჯებს“, ჟარგონით რომ ვთქვათ, „თამაში გაუკეთეს“. **ჰოუპ აკპანის** ორ გადაცემას **ადამ ლე ფონდრეს** დუბლი და ქულა მოჰყვა ბერკშირელების კალათაში. ცხადია, მაკდერმოტის როლის გადაფასება ამ შემთხვევაში შეუძლებელია. „ჩამორჩენის მიუხედავად, ვცდილობდით, თამაშიდან არ გამოვთიშულიყავით და მოგვენახა გზა, რათა გარდატეხა შეგვეტანა შეხვედრაში. გამოსავალი შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა მონახეს. დღეს ნამდვილად მაქვს საფუძველი, რათა ჩემი გუნდით ვიამაყო,“ – განაცხადა მაკდერმოტმა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე.

### ტურის გმირი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 27 წლის თავდამსხმელმა **უეინ რუნიმ** მიმდინარე სეზონში პრემიერლიგაში თამაშების 1/3 ტრავმის გამო გამოტოვა, მაგრამ ამის მიუხედავად, მის ანგარიშზე უკვე 9 გოლი და 7 საგოლე გადაცემაა. „საუთჰემპტონთან“ დაპირისპირებაში „ეშმაკებმა“ კიდევ ერთხელ მოიგეს თამაში, რომელშიც ანგარიში მეტოქემ გახსნა. შემობრუნებაში უმთავრესი როლი სწორედ რუნიმ ითამაშა. დუბლის გაფორმების შემდეგაც ფორვარდს „წმინდანების“ უკანახაზელები მუდმივი ზეწოლის ქვეშ ჰყავდა. „იუნაიტედის“ ლიდერმა ფანტასტიკური შეხვედრა ჩაატარა.

### მომდევნო ტური

| 2 თებერვალი | |
|---|---|
| ქუინზ პარკი-ნორვიჩი | 16:45 |
| არსენალი-სტოკი | 19:00 |
| ევერტონი-ასტონ ვილა | 19:00 |
| ნიუკასლი-ჩელსი | 19:00 |
| რედინგი-სანდერლენდი | 19:00 |
| ვესტ ჰემი-სუონსი | 19:00 |
| უიგანი-საუთჰემპტონი | 19:00 |
| ფულჰემი-იუნაიტედი | 21:30 |

| 3 თებერვალი | |
|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი | 17:30 |
| სიტი-ლივერპული | 20:00 |

### XI ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ეროვნული ბიბლიოთეკა

### ქუინზ პარკმა დაადასტურა

„ქუინზ პარკის“ ოფიციალურმა ვებგვერდმა გუშინ დილას დაადასტურა „ანჟიდან“ **კრისტოფერ სამბას** შეძენის ფაქტი. გარიგება ლონდონურ კლუბს 12,5 მილიონი ფუნტი დაუჯდა, თავად 28 წლის უკანახაზელი კი კვირაში 100 ათას ფუნტს მიიღებს. ასეთი მაღალი ხელფასი „რეინჯერებში“ აქამდე არავის ჰქონია. „ვიცნობ იმ გეგმებს, რაც „ლოფტუს როუდზე“ უნდა განხორციელდეს. მითამაშია ამ სტადიონზე და ვიცი, რომ იქ არნახული ატმოსფეროა. ჩვენ ამბიციური კლუბი ვართ, რაც ფეხბურთელისთვის სერიოზული გამოწვევაა. დღეს ნამდვილად არ ვიქნებოდი „ქუინზ პარკის“ ფეხბურთელი, რომ არ მქონდეს რწმენა, რომ გასავარდნ ზონას თავს დავაღწევთ,“ – აცხადებს კრისტოფერ სამბა.

### ანდრე სანტოსი ტოტენჰემში

„ტოტენჰემმა“ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე „არსენალიდან“ ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მარცხენა მცველი **ანდრე სანტოსი** შეიძინა და „მეთოფეებს“ მასში 10 მილიონი ფუნტი გადაუხადა. მიმდინარე სეზონში სამხრეთამერიკელმა ჩემპიონატში 8-ჯერ ითამაშა და აქედან მხოლოდ 3-ჯერ ძირითად შემადგენლობაში.

### გრემი შავ კატებში

„სუონსის“ თავდამსხმელი **დენი გრემი** უელსურ კლუბში **მიგელ მიჩუს** მისვლის შემდეგ სათამაშო პრაქტიკის გარეშე დარჩა, რაც მის უკმაყოფილებას იწვევდა. მართალია, **მიკაელ ლაუდრუპს** ძალიან არ უნდოდა 27 წლის შემტევთან განშორება, მაგრამ დანიელმა არც მისი ძალით დატოვება ინება და „სანდერლენდთან“ მოლაპარაკებები წამოიწყო. Sky Sports-ის ცნობით, „შავ კატებს“ ფეხბურთელის გადაბირება 5 მილიონი ფუნტი დაუჯდათ.

### ნორვიჩმა არგენტინელი იყიდა

„ნორვიჩმა“ ჩემპიონშიპის „ლიდს იუნაიტედიდან“ 29 წლის არგენტინელი თავდამსხმელი **ლუსიანო ბეკიო** შეიძინა და მასთან 3,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფეხბურთელმა მიმდინარე სეზონში მარტო ჩემპიონატის შეხვედრებში 19 გოლი გაიტანა. სამხრეთამერიკელის ხელშეკრულებას „თეთრებთან“ ვადა 2014 წლის ივლისში გასდიოდა. შესაბამისად, „იადონებს“ მისი ყიდვა გარკვეული თანხა დაუჯდებოდათ, რაზეც ჩვენი უცხოელი კოლეგები არაფერს წერენ. ფულის გარდა „ნორვიჩი“ **სტივ მორისონსაც** შეელია.

### შარნერი უიგანში დაბრუნდა

„ჰამბურგიდან“ „უიგანში“ სეზონის ბოლომდე იჯარით გადავიდა ავსტრიის ნაკრების 32 წლის მცველი **პაულ შარნერი**. ფეხბურთელი ინგლისური კლუბის ღირსებას 2006/10 წლებში უკვე იცავდა.

### პსვ-დან ფულჰემში

„ეინდჰოვენის“ 27 წლის ბულგარელი მარჯვენა მცველი **სტანისლავ მანოლევი** გუშინ 5 თვით „ფულჰემის“ ფეხბურთელი გახდა. პსვ-ს დამრიგებელ **დიკ ადვოკაატს** მიმდინარე სეზონში მისი დახმარება პრაქტიკულად არ დასჭირვებია. თუკი აღმოსავლეთევროპელი „ქრევენ კოტეჯზე“ თავს გამოიჩენს, ლონდონელები ივლისიდან მის სრულყოფილ ტრანსფერზე დაიწყებენ მუშაობას.

### უცნობი ფრანგი ვილა პარკზე

ბირმინგემის „ასტონ ვილას“ მთავარი მწვრთნელის, **პოლ ლამბერტის** სურვილის თანახმად, კლუბმა საფრანგეთის ლიგა 2-ის „კლერმონიდან“ 22 წლის საყრდენი ნახევარმცველი **იაკუბუ სილა** შეიძინა და მასში 2 მილიონი ფუნტი გადაიხადა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპა დელ რეი. ნახევარფინალი. I მატჩი

# კოლოსალური ვარანი!

## ბარსელონა კმაყოფილია, გაგიკვირდებათ და... რეალიც

**რეალი–ბარსელონა 1:1**

**გოლები:** 0:1 ფაბრეგასი (50), 1:1 ვარანი (81)

**რეალი (4-2-3-1):** დ. ლოპესი - ესიენი, ვარანი, რ. კარვალიო, არბელოა - ხედირა, ჩაბი ალონსო - კალეხონი (57. მოდრიჩი), იოზილი, რონალდო - ბენზემა (62. იგუაინი).

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი (84. ტ. ალკანტარა) - პედრო (75. სანჩესი), მესი, ინიესტა.

კოლოსალური - ასეთი სათაური ამშვენებს „მარკას“ პირველ გვერდს სათასო კლასიკოს შემდეგ. ბუნებრივია, გაზეთი არც „რეალის“ თამაშს გულისხმობს და მით უფრო არც **ჟოზე მოურინიოს** დამსახურებას - ბოლო-ბოლო, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 1:1 „ბარსელონასთვის“ კარგი შედეგია და ფავორიტიც კატალონიური გრანდია. „მარკა“ გულისხმობდა 19 წლის ფრანგის, **რაფაელ ვარანის** სუპერთამაშს, რომელმაც მხოლოდ იმიტომ ითამაშა ამ შეხვედრაში, რომ **სერხიო რამოსი** დისკვალიფიცირებული იყო.

ვარანმა ბრწყინვალედ ითამაშა დაცვის ცენტრში, ის, რომ **ლეო მესი** შთამბეჭდავი არ იყო ამ შეხვედრაში, დიდად მისი დამსახურებაცაა. *„ეს მატჩი არასდროს დამავიწყდება, ოცნება 19 წლისას ამიხდა. ყველაფრით კმაყოფილი ვარ, გუნდის თამაშითაც, ჩვენ ფინალში გასვლა შეგვიძლია“*, - განაცხადა ვარანმა ჟურნალისტებთან საუბარში.

*„ვარანმა ძალიან მაგრად ითამაშა, უკეთესის წარმოდგენა შეუძლებელიც კია, თან გოლი გაიტანა“*, - ეს უკვე **აიტორ კარანკას** სიტყვებია, რომელიც ჟოზე მოურინიოს ნაცვლად მივიდა.

„ბარსელონას“ დროებითმა თავკაცმა **ჟორდი როურამ** შემდეგი თქვა: *„ბოლოსკენ იყო შანსი ანგარიშის გაზრდის, ახლა ამაზე ლაპარაკი დაგვიანებულია. ჩემი აზრით, „რეალთან“, მისსავე მოედანზე 1:1-ის თამაში, როცა საპასუხო მატჩი წინაა, კარგი შედეგია“.*

### კაპიტნერი

„ბარსელონას“ კაპიტანი **კარლეს პუიოლი** ყოველთვის იცავს „ფეარ პლეის“ პრინციპებს და თანაგუნდელებსაც ამისკენ მოუწოდებს. იმ ეპიზოდში, როცა **ჟერარდ პიკემ კრიშტიანო რონალდოს** სახიფათო ეპიზოდი გააუვნებლა, ტრიბუნიდან „რეალის“ ფანებმა სანთებელა ისროლეს.

პიკემ სანთებელა აიღო და მსაჯისთვის საჩვენებლად მიდიოდა, როცა კაპიტანმა ხელი შეუშალა, გამოართვა სანთებელა და იქვე მოედნის მიღმა გადააგდო.


რაფაელ ვარანის პირველი კლასიკო და პირველი გოლი

**მარკასეული შეფასებები**

**რეალი:**

**დიეგო ლოპესი** 7
„რეალის“ ახალწვეული სტაბილური და კარგი იყო, მესის დარტყმა მოიგერია, ალბას დარტყმულსაც გაუმკლავდა.

**მიკაელ ესიენი** 7
ფლანგი დაცული იყო და შეტევაშიც ერთვებოდა, იმაზე მეტი მივიღეთ, რასაც მისგან ველოდით.

**რაფაელ ვარანი** 10
მისთვის პირველი კლასიკო იყო და 19 წლის ასაკში მოედანზე საუკეთესო იყო. მან რამდენჯერმე გადაარჩინა გუნდი, შემდეგ კი გაიტანა კიდევაც. „რეალს“ მომავალ დეკადაში ერთი კარგი ცენტრალური მცველი უკვე ჰყავს.

**რიკარდო კარვალიო** 4
რამდენადაც კარგი იყო ცენტრში ვარანი, იმდენად დიდი იყო სხვაობა მას და მის მეწყვილეს შორის. მიიღო ყვითელი ბარათი და გასაძევებელიც იყო.

**ალვარო არბელოა** 5
იმაზე ნაკლებად აქტიური იყო, ვიდრე შეუძლია, რასაც კარგად იყენებდა „ბარსა“.

**ჩაბი ალონსო** 7
ძალიან კარგი იყო ჩაშლაში, ნაკლებად - შეტევაში

**სამი ხედირა** 6
ჩრდილში იყო. ბოლო თამაშებში ძალიან კარგად გამოიყურებოდა და იმის ფონზე მოუკლო.

**ხოსე კალეხონი** 5
პირველი იყო, ვინც მწვრთნელმა შეცვალა. 0:1-ის მომენტში ძალიან იპასიურა.

**მესუთ იოზილი** 7
სხვათა შორის, საკმაოდ სწრაფი ფეხბურთი შემოგვთავაზა, საგოლე პასის ავტორია.

**კრიშტიანო რონალდო** 7
მუდმივი საფრთხე იყო „ბარსელონასთვის“, თუმცა ისე ეფექტური არ იყო, მეორე ტაიმში ძალიან ახლოს იყო გოლთან, მაგრამ ვერ დაარტყა კარში ხეირიანად.

**ქარიმ ბენზემა** 6
მან გაანიავა ორი კარგი შანსი, მოურინიომ მეტის შანსი არ მისცა და იგუაინით შეცვალა.

**სათადარიგოები:** მოდრიჩი (5), იგუაინი (5)

**მწვრთნელი:** მოურინიო (6)

**ბარსელონა**

**ხოსე პინტო** 7
კარგად ითამაშა, კრიშტიანოს მაგარი დარტყმა აუღო, გოლისას ვერაფერს გააწყობდა.

**დანი ალვეში** 7
აქტიური იყო შეტევებში, ცოტა იბნეოდა დაცვაში. ნელ-ნელა ნამდვილი დანი ალვეში ბრუნდება.

**კარლეს პუიოლი** 8
როგორც ყოველთვის, საიმედო და თავგანწირული.

**ჟერარდ პიკე** 9
ყველაზე საიმედო მცველი სტუმართა რიგებში. ერთ-ორ ეპიზოდში ძალიან მაგრად ითამაშა.

**ჟორდი ალბა** 7
ინიესტასთან კარგად ურთიერთობდა, აი, დაცვაში კი უჭირდა.

**სერხიო ბუსკეტსი** 7
შავი სამუშაო კარგად შეასრულა, არაფერი გამორჩეული.

**ჩავი** 9
თამაშის ტემპს კარნახობდა, აკეთებდა გადასარევ პასებს.

**სესკ ფაბრეგასი** 8
გოლის ავტორი, კედელს უთამაშებდა ხშირად მესის და ინიესტას. დიეგო ლოპესთან პირისპირ გასულმა ძალიან დააგვიანა.

**პედრო** 7
მას შეეძლო „ბარსას“ მეორე გოლის გატანა, მაგრამ აპატია „რეალს“ შეცდომა დაცვაში, უკან ეხმარებოდა თავისიანებს.

**ანდრეს ინიესტა** 9
კაცი, რომელსაც შეუძლია ბურთი გააქროს, მისი მაღალი კლასი საოცარია.

**ლიონელ მესი** 8
მარტო მისი გამოჩენაც კი საკმარისია მეტოქის დაცვის დაპანიკებისთვის. მართალია, ისეთი ეფექტური არ იყო, როგორიც ხშირად გვინახავს, მაგრამ „ბარსას“ ხაზებს შორის კარგად მოქმედებდა.

**სათადარიგოები:** სანჩესი (6), ალკანტარა (6).

**მწვრთნელი:** როურა (6)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

## ლიგის ფინალის ბურთი წარადგინეს

კომპანია „ადიდასმა“ ჩემპიონთა ლიგის ფინალის ოფიციალური ბურთი „ადიდას ფინალ უემბლი“ წარადგინა. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალი 25 მაისს ლონდონში, „უემბლიზე“ გაიმართება. ბურთის დიზაინი ამ ტურნირის 50-წლოვან იუბილეს ეძღვნება. ტრადიციის მიხედვით, ჩემპიონთა ლიგის ბურთის ცალკეული პანელები ვარსკვლავების ფორმისაა.

ფინალის ბურთი კი ჰქვია, მაგრამ სწორედ ამ ბურთებით ითამაშებენ ჩემპიონთა ლიგაზე 12 თებერვლიდან მოყოლებული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**





ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. მესუთ იოზილი

# მინდა საუკეთესო ვიყო!

## ...და მჯერა, რომ ამას აუცილებლად შევძლებ!

**ჩვენი** გერმანელი კოლეგებისთვის მიცემულ ინტერვიუში „რეალისა“ და გერმანიის ნაკრების 24 წლის ვარსკვლავი მესუთ იოზილი ბევრ საინტერესო თემას ეხება. საუბრობს ჟოზე მოურინიოზე, „სამეფო გუნდში“ შექმნილ ვითარებაზე და იმაზეც, თუ რატომ არ ეშინია მიუნხენის „ბაიერნის“...



**- ჰერ იოზილ, ამას წინათ გამოქვეყნდა ფოტოები, სადაც მომღერალ მენდი კაპრისტოსთან ერთად ხართ გადაღებული და კადრებიდან ჩანს, რომ მასთან ჩვეულებრივზე ახლო მეგობრობა გაკავშირებთ. შეყვარებული ხართ?**

- შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ეს არ არის ფოტომონტაჟი. სხვა მხრივ, ამაზე მეტს ვერაფერს ვიტყვი - იმედია, გამიგებთ.

**- მაშინ პირდაპირ ფეხბურთზე გადავიდეთ. მომავალი სეზონიდან მიუნხენის „ბაიერნს“ ხოსეპ გვარდიოლა გაწვრთნის. თქვენი კომენტარი...**

- გვარდიოლას პირადად არ ვიცნობ, მას მხოლოდ „ბარსელონასთან“ დუელების დროს ვხვდები ხოლმე. პეპთან არც არასდროს მისაუბრია. შესაბამისად, გვარდიოლას შესახებ მსჯელობა მხოლოდ მისი მიღწევებით შემიძლია და რაკი 4 წელიწადში 14 ტიტული მოიგო, ეს სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. აქედან გამომდინარე, „ბაიერნმა“ სწორი არჩევანი გააკეთა და უდავოდ სწორი იყო გვარდიოლას გადაწყვეტილებაც. სხვა ყველაფერს კი დრო გვიჩვენებს...

**- თქვით, ერთ-ერთი საუკეთესოაო და ვინ არის საუკეთესო?**

- ჟოზე მოურინიო!

**- დარწმუნებული ხართ? ესპანური პრესა დღენიადაგ იმაზე წერს, რომ მოურინიოს „რეალის“ ფეხბურთელებთან ურთიერთობა გაუფუჭდა და მადრიდულ გრანდში დიდხანს აღარ დარჩება...**

- ჰო, გაზეთებს მეც ვკითხულობ, მაგრამ ფაქტია, რომ ჟურნალისტებმა არ იციან, რა ხდება სინამდვილეში დახურულ კარებს მიღმა. თანაც, პრესას ყოველთვის გადაჭარბება უყვარს. რაკი „რეალი“ სუპერგრანდია, აქ 2-3 წაგორხილებაც კი კატასტროფად აღიქმება. სიმართლე გითხრათ, გასახდელში ყოველთვის ვიცინით ხოლმე იმაზე, რაც პრესაში იწერება. ჩემთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ გასახდელში ერთმანეთს ყველა პატივს სცემს. „რეალის“ ფეხბურთელები მოურინიოს დიდად ვაფასებთ.

**- როცა ჟოზე მილანის „ინტერიდან“ მიდიოდა, ფეხბურთელები გამოეტირნენ. მარკო მატერაცციმ თქვა, ჟოზე ჩემი მეორე მამააო. თქვენც იმავეს ხომ არ იტყოდით?**

- რა თქმა უნდა! ჟოზეს ფეხბურთელებისადმი სულ სხვანაირი, მკაცრი და ამავდროულად სამართლიანი მიდგომა აქვს. პირადად მე ყოველთვის მენდობა და მეც თავს არ ვზოგავ იმისათვის, რომ მისი ნდობა გავამართლო. სხვათა შორის, ჟოზეს გუნდში თამაშზე ჯერ კიდევ „რეალში“ გადმოსვლამდე ვოცნებობდი. ახლა კი უკვე სამი წელია, რაც მოურინიო ჩემი მწვრთნელია და გულახდილად ვიტყვი, ბედნიერი ვარ. გაიხსენეთ: ბევრს არ სჯეროდა, რომ „რეალის“ ძირითად შემადგენლობაში დავმკვიდრდებოდი, მაგრამ ხომ ხედავთ, ეს მოვახერხე! ახლა კი ამით ვამაყობ. ჟოზემ იცის, რა შემიძლია და ისიც იცის, რომ მოედანზე ყოველთვის ბოლომდე დავიხარჯები. სხვათა შორის, ძალიან ხშირად მესაუბრება. ყველაზე მეტად კი მისი პირდაპირობა და გულახდილობა მომწონს.

**- რა ენაზე საუბრობთ ხოლმე ჟოზესთან?**

- დავალებებს უმეტესად ესპანურ ენაზე გვაძლევს. ესპანური ძალიან კარგად არ ვიცი და როცა რამეს ვერ ვიგებ, ინგლისურად მიმეორებს ხოლმე. შეიძლება, რაღაც ინგლისურ ენაზეც ვერ გავიგო და ასეთი შემთხვევისთვის მისი ასისტენტი არსებობს, რომელიც გერმანულად ამიხსნის ყველაფერს.

**- იყო საუბრები იმის შესახებ, რომ „რეალში“ თავს არცისე კარგად გრძნობთ და რომ თქვენი გადაბირებით „მანჩესტერ იუნაიტედია“ დაინტერესებული...**

- „რეალიდან“ წასვლაზე ერთი წამითაც არ მიფიქრია. ამაზე უკეთეს ადგილზე სად უნდა წავიდე? თანაც, გაქცევა არ მჩვევია და ამის წინა პირობაც არ არსებობს. მადრიდი შესანიშნავი ქალაქია, სადაც თავს იდეალურად ვგრძნობ. მწვრთნელი მენდობა და მათამაშებს, მყავს შესანიშნავი მეგობრები - ყველაზე ახლოს ქარიმ ბენზემასთან და სერხიო რამოსთან ვარ - ფეხბურთელს ამაზე მეტი და უკეთესი რა უნდა უნდოდეს? მინდა, რომ მადრიდში ძალიან დიდხანს დავრჩე. თუ ამის შესაძლებლობა მომეცემა, კარიერას სწორედ „რეალში“ დავასრულებ.

**- ესპანეთის ჩემპიონატში „ბარსელონა“ „რეალს“ უდიდესი უპირატესობით უსწრებს. რატომ თამაშობს მადრიდული გრანდი ამ სეზონში ასე ცუდად?**

- მიმდინარე სეზონში მართლაც ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით და ვფიქრობ, რომ ეს სწორედ ამის ბრალია. სუსტ გუნდებთან ბევრი ქულა დავკარგეთ! კატალონიელები კი ყველა თამაშს იგებენ და ასეთი პრობლემები არ ექმნებათ. თუმცა ჩვენ დანებებას არ ვაპირებთ. ფანებისა და კლუბის წინაშე ყველა რეალელი ვალდებულია, თითოეული თამაში მოიგოს. შესაძლოა, ესპანეთის ჩემპიონობას ველარ შევწვდეთ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მოგების შანსი ხომ გვაქვს?

**- რომელ გერმანულ კლუბს უფრო უფრთხით ჩემპიონთა ლიგაში: „ბაიერნს“ თუ „დორტმუნდს“?**

- „რეალში“ ყველა აღიარებს, რომ გერმანული კლუბების წინააღმდეგ თამაში ძნელია. ჩემი აზრით, ჩემპიონთა ლიგის მოგება წელს არა მარტო „ბაიერნს“, არამედ „დორტმუნდსაც“ შეუძლია. ფაქტი ისაა, რომ ჩვენ არც „ბაიერნის“ შეგვეშინდება და არც „დორტმუნდის“ - „რეალი“ ის გუნდია, რომელმაც ნებისმიერს უნდა მოუგოს.

**- თქვენი აზრით, რა უფრო რეალურია: გერმანიის ნაკრებმა მოიგოს მსოფლიოს ჩემპიონატი 2014 წელს, თუ „რეალმა“ დაისაკუთროს ჩემპიონთა ლიგის თასი?**

- არ ვიცი: ვფიქრობ, რომ ორივე რეალურია. მადრიდული გრანდიც და ბუნდესგუნდიც დიდ ტიტულებთან ყოველთვის ახლოს არიან ხოლმე. ისე, მსოფლიოს ჩემპიონატზე ლაპარაკი ჯერ მაინც ადრეა, რადგან მუნდიალის საგზური ჯერ კიდევ არ გაგვინაღდებია.

**- ბუნდესმწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაში პირველი ადგილი მოგანიჭათ. იქნებ ლიონელ მესის შესახებ არაფერი იცის?**

- რა თქმა უნდა, იცის, მაგრამ იოგიმ ჩემი შესაძლებლობების შესახებაც ყველაფერი კარგად იცის.

**- ანუ, არჩევანში ეთანხმებით?**

- გერმანიის ნაკრების მწვრთნელს არასდროს არ უნდა შეეკამათო (იცინის). ლეო მესი, რა თქმა უნდა, გენიალური ფეხბურთელია, მაგრამ ჩემი შესაძლებლობები მეც არაერთხელ დამიმტკიცებია. მსოფლიოს საუკეთესო კლუბის ძირითადი შემადგენლობის წევრი ვარ და რა თქმა უნდა, მინდა, რომ საუკეთესო ვიყო. ვიცი, ჩემგან ბევრს ელიან და მჯერა, რომ მოლოდინს გავამართლებ.

**- საუკეთესო სამეულის თქვენი ვერსია როგორია?**

- არ მინდა, რომ ეგოისტი მიწოდონ და ამ კითხვას უპასუხოდ დავტოვებ.

**- თავს სრულყოფილ ფეხბურთელად მიიჩნევთ?**

- რა თქმა უნდა, არა.

**- რა მხრივ უნდა გაუმჯობესდეს კიდევ მესუთ იოზილი?**

- გამთამაშებელი ვარ და ჩემი უპირველესი მოვალეობა პასების დარიგებაა. ვფიქრობ, რომ ეს საქმე კარგად გამომდის - ზედიზედ ორჯერ პრიმერადივიზიონის საუკეთესო მეპასე გავხდი. კარგი იქნება, თუ მეტ გოლს გავიტან. თუმცა გერმანიის ნაკრებში 2012 წელს ყველაზე მეტი გოლი სწორედ მე გავიტანე.

**- „რეალში“ ჯარიმებსაც ხშირად ურტყამთ...**

- ჰო, საჯარიმო დარტყმებს კრიშტიანო რონალდო და მე რიგრიგობით ვასრულებთ ხოლმე.

**-როგორ წყვეტთ, ვინ უნდა დაარტყას?**

- ვინც იმ მომენტში უკეთეს ხასიათზეა, ის ურტყამს ხოლმე.

**- რონალდო თითქმის ყოველთვის კარგ ხასიათზეა და თან ისეთი ტიპია, ძნელი წარმოსადგენია, ვინმეს რამე დაუთმოს. ჯარიმების დარტყმას როგორღა ახერხებთ?**

- მარჯვნიდან ჯარიმებს უმეტესად მე ვურტყამ ხოლმე, მარცხნიდან კი - კრიშტიანო.

**- გასახდელში რონალდო სარკეს მართლა დიდხანს უყურებს ხოლმე?**

- არც ისე დიდხანს, როგორც ეს ხალხს ჰგონია.

**- ყველაზე დიდხანს რომელი რეალელი იხედება ხოლმე სარკეში?**

- მე არა!

**- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ის, რომ კარგი სპორტული ტანი გქონდეთ?**

- ჩემი ტანი ჩემთვის კაპიტანია. ზოგადად, მე მარტო „რეალს“ კი არა, გერმანიის ნაკრებსაც წარმოვადგენ და ვცდილობ, კარგ ფორმაში ვიყო.

**- სვირინგები არ გაქვთ. სამაგიეროდ, საყურეებს ატარებთ. ეს ახალი მოდაა?**

- პირველი საყურე 14 წლის ასაკში გავიკეთე და სხვათა შორის, მშობლებისთვის არაფერი მიკითხავს. სალამოს მამაჩემმა საყურე ნახა და არაფერი უთქვამს. შესაბამისად, მეორე დღეს მეორე ყურიც გავიხვრიტე.

**- თქვენს ჩაცმის სტილს როგორ დაახასიათებდით?**

- მე მგონი, კარგად ვიცვამ. ჩემი სტილი ჩემს ხასიათს გამოხატავს - სპორტული და მოდურია. მარტო იმ ფერებს ვირჩევ, რაც მიხდება.

**- რომელი ფერია თქვენს კარადაში გამორიცხული?**

- ყვითელი!

**- ჰო, რა თქმა უნდა... თქვენ ხომ ყოფილი შალკელი ხართ.**

- არა, დორტმუნდის „ბორუსიას“ სიძულვილი აქ არაფერ შუაშია. ყვითელზე ვთქვი, შავზე ხომ არა? შავი ფერი ძალიანაც მომწონს.

**- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის იმიჯი?**

- ვცდილობ, ყველგან და ყოველთვის ისეთი ვიყო, როგორიც სინამდვილეშიც ვარ. ხალხს ყოველთვის პოზიტიური უნდა ვახსოვდე. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბავშვებს კარგი მაგალითი მივცე. სხვათა შორის, ფანები ხშირად მეუბნებიან, ცაში არ დაფრინავ, რეალისტი ხარო. საბედნიეროდ, ჩემთვის ჯერ არავის უთქვამს, აროგანტი, ეგოისტი და ზედმეტად ამაყი ხარო.

> **„ბევრს არ სჯეროდა, რომ „რეალის“ ძირითად შემადგენლობაში დავმკვიდრდებოდი, მაგრამ ხომ ხედავთ, ეს მოვახერხე“**

ამბები

### ჰოფემ გომეში დაიმატა!

**ტიმ ვიზეს** „ჰოფენჰაიმში“ საქმეები კარგად რომ არ წაუვიდა, ამის შესახებ არაერთხელ ვწერდით და როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინ 31 წლის მეკარე „ჰოფენჰაიმის“ ბოსებმა საბოლოოდ გამოაცხადეს დეგრადირებულად, რადგან „ჰოფემ“ „ტოტენჰემიდან“ სეზონის ბოლომდე 31 წლის **ეურელიო გომეში** ინათხოვრა.

ამრიგად, ბუნდესლიგის ცხრილში მე-17 ადგილამდე ჩამოქვეითებული კლუბის ხელმძღვანელებმა ვიზეს ნდობა აღარ გარისკეს და რაკი მეორე მეკარე **კოენ კასტეელსი** გამოუცდელი კიპერია, გამოცდილი გომეშის დამატება გადაწყვიტეს. ეს უკანასკნელი „ტოტენჰემის“ სათადარიგოთა სკამს ხეხავდა, რადგან „სპურზს“ **ბრედ ფრიდელი** და **უგო ლორისიც** ჰყავს.



ეურელიო გომეში ჰოფენჰაიმის კარს დაიცავს

### შტუტგარტი რუმინელით გაძლიერდა

„შტუტგარტმა“ რუმინეთის ნაკრების ნახევარმცველი **ალექსანდრუ მაქსიმი** გადაიბირა. 22 წლის მაქსიმი შვაბურ კლუბში რუმინული „პანდურიიდან“ გადავიდა და კონტრაქტი 2017 წლის ზაფხულამდე გააფორმა. სატრანსფერო თანხის ოდენობა გასაიდუმლოებულია.

*„მაქსიმის სახით ძალიან ტექნიკური ფეხბურთელი მივიღეთ, რომელსაც გამთამაშებლადაც შეუძლია თამაში და ორივე ფლანგზე, გარემარბის რანგშიც კარგად გამოიყურება,“* - ეს „შტუტგარტის“ სპორტული დირექტორის, **ფრედი ბობიჩის** სიტყვებია.

### ემრე ფენერში დაბრუნდა

თურქი ნახევარმცველი **ემრე ბელოზოღლუ**, რომელსაც თურქეთის ნაკრებში 89 მატჩი აქვს ჩატარებული, სამშობლოში დაბრუნდა და კარიერას „ფენერბაჰჩეში“ გააგრძელებს. 32 წლის ნახევარმცველს მადრიდის „ატლეტიკოში“ იშვიათად ათამაშებდნენ, რის გამოც ესპანური კლუბი „ფენერს“ უპრობლემოდ დათანხმდა. თურქული გრანდის ოფიციალური ინფორმაციით, ემრემ „ფენერთან“ ორწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

გვერდი მოამზადა **გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

# პარიზი, ბექჰემის არჩევანი



სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღის ერთ-ერთი მთავარი ტრანსფერი, უთუოდ **დევიდ ბექჰემის** „პარი სენ ჟერმენში" გადასვლაა.

„ლოს ანჯელეს გელექსიდან" წამოსვლის შემდეგ, ბექჰემი ინგლისში ჩავიდა, სადაც ლონდონის „არსენალთან" ერთად ვარჯიშობდა. ჟურნალისტებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ 37 წლის ფეხბურთელი კარიერას „მეთოფეთა" რიგებში გააგრძელებდა, მაგრამ...

გუშინ, დევიდ ბექჰემი საფრანგეთის დედაქალაქში გაემგზავრა და „ლა პიტიე სალპეტრიერის" საავადმყოფოში სამედიცინო შემოწმება გაიარა, ხოლო ადგილობრივი დროით 17:00 საათზე, „პარი სენ ჟერმენის" პრეზიდენტთან, **ნასერ ალ-ხელაიფისთან** და კლუბის სპორტულ დირექტორ **ლეონარდოსთან** ერთად, ჟურნალისტების წინაშე წარდგა.

იქამდე კი ინგლისელის ტრანსფერზე საკუთარი მოსაზრება ძალიან ბევრმა ადამიანმა დააფიქსირა. მათ შორის იყო **დიდიე დეშამიც**, რომელმაც განაცხადა, რომ ბექჰემის პსჟ-ში ჩარიცხვა, ლიგა 1-ის პოპულარიზაციას ხელს შეუწყობს და საფრანგეთის ჩემპიონატი ამით მხოლოდ იხეირებს.

საკუთარი მოსაზრება დევიდის მეგობარმა, **გარი ნევილმაც** გამოთქვა: *„ის ახლაც საოცარი ფიზიკურ ფორმაშია, ასე რომ, ჩემი აზრით, დევიდი გუნდს რეალურად დაეხმარება. მას საკმაოდ დიდი მოტივაცია აქვს შერჩენილი და მაღალ დონეზე თამაში სურს".*

ინგლისელის პრეზენტაციაზე, პირველი სიტყვით ალ-ხელაიფი გამოვიდა. აი, რა განაცხადა პსჟ-ს პრეზიდენტმა: *„დევიდი ჩვენი დიდი გეგმის ნაწილია. ჩვენ გვსურს, რომ მსოფლიოში საუკეთესო გუნდი გავხდეთ და დევიდი ამაში დაგვეხმარება. მას მთელი მსოფლიოდან უამრავი შეთავაზება ჰქონდა, მაგრამ უარი განაცხადა და ჩვენთან გადმოვიდა, რითაც უზომოდ კმაყოფილები ვართ".*

ამის შემდეგ დადგა მთავარი მომენტი და სიტყვით საღამოს გმირი გამოვიდა.

*„ფრანგულად სკოლის შემდეგ არ მისაუბრია, ამიტომ თავიდან ცოტათი გამიჭირდება. ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან 37 წლისას იმდენი შემოთავაზება მქონდა, რამდენიც მთელი კარიერის განმავლობაში არ მქონია,"*- განაცხადა ინგლისელმა.

ისევ ბექჰემი: *„რატომ პსჟ? იმიტომ, რომ მთელი კარიერის განმავლობაში წარმატებულ და ძლიერ კლუბებში ვთამაშობდი. ინგლისურ გუნდში გადასვლა კი „მანჩესტერ იუნაიტედის" ფაქტორის გამო არ მსურდა".*

ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, ასევე საკუთარ სათამაშო ფორმასა და ანჩელოტი-ლეონარდოზე ისაუბრა: *„მიუხედავად იმისა, რომ 37 წლის ვარ, სისწრაფე არ დამიკარგავს, რადგან სწრაფი არც არასდროს ვყოფილვარ. რაც შეეხება კარლოს და ლეოს: მათ საკმაოდ კარგად ვიცნობ, რადგან ჩვენ რამდენიმე თვე „მილანში" ერთად ვიმუშავეთ".*

*„მე ხელფასი საერთოდ არ მექნება, მთელი თანხა ადგილობრივ ბავშვთა საქველმოქმედო ფონდს ჩაერიცხება და ამისა გამო ძალიან ამაყი ვარ,"* – განაცხადა ბექჰემმა პრესკონფერენციის ბოლოს.

ვეტერანმა ინგლისელმა, პარიზულ კლუბთან 5-თვიანი კონტრაქტი გააფორმა და სეზონის ბოლომდე 32-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

**ტატო ბაციკაძე**

მილანი

# ბალოტელის მოკრძალებული წარდგენა

## გალიანი: მას ისედაც კარგად ვიცნობთ...

**მარიო ბალოტელი** მილანში ჩავიდა, ახალ კლუბში სამედიცინო შემოწმება გაიარა და კონტრაქტს ხელი მოაწერა. როგორც უკვე გაცნობეთ, 22 წლის ფორვარდმა ხუთი წლით დაუკავშირა ბედი ლომბარდიულ გრანდს, მისი სეზონური გასამრჯელო კი ოთხი მილიონი ევრო იქნება. „როსონერის" მესვეურებმა მარიო მოკრძალებულად წარადგინეს, რაც **ადრიანო გალიანიმ** შემდეგნაირად ახსნა:

*„ბალოტელის დიდი წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება, რადგან მას ისედაც ყველანი კარგად ვიცნობთ. პომპეზური ღონისძიებების დრო უბრალოდ არ არის, რადგან გახურებული სეზონია. ბალოტელის გადმოსაბირებლად ყველაფერი გავაკეთეთ და მიხარია, რომ ის ჩვენთანაა".*

მარიომ პრესასთან დიდხანს საუბარი არ ისურვა და მხოლოდ ის თქვა, რომ „როსონერიში" გადასვლა მის ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპია. ბალოტელის თქმით, გულშემატკივართა გულის მოსაგებად ყველაფერს გააკეთებს.

### უკმაყოფილო პაცინი?

იტალიურ სპორტულ პრესაში ერთი საინტერესო ამბავი გავრცელდა, რომლის მიხედვითაც, **ჯამპაოლო პაცინი მარიო ბალოტელის** ტრანსფერით თურმე უკმაყოფილო ყოფილა. ლოგიკა გასაგებია, ბალო პაცოს პირდაპირი კონკურენტია და მას ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდებით ემუქრება. არადა, ჯამპაოლომ ბოლო დროს მოუმატა და გოლებსაც მოუხშირა. ამ საკითხზე ისევ გალიანიმ ისაუბრა:

*„პაცინი უკმაყოფილოა? - ამის შესახებ არაფერი მსმენია და მეეჭვება რომ მართალი იყოს. სანამ ბალოტელის ამბავს გავაცხადებდით, პაცინის პირადად ვესაუბრე და ვუთხარი, რომ ის „მილანისთვის" უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და ასე იქნება მომავალშიც. ჯამპაოლომ მადლობა გადამიხადა და ნამდვილად ვერ შევატყვე, რომ უკმაყოფილოა. კარგი იქნება, თუ ასეთ აბსურდულ თემებზე აღარ მომიწევს კომენტარის გაკეთება".*

### მორატი: მილანი რისკავს

იტალიელი ჟურნალისტები „ინტერის" პრეზიდენტ **მასიმო მორატის** დაუკავშირდნენ და მარიო ბალოტელის „როსონერიში" გადასვლაზე კომენტარი სთხოვეს: *„საინტერესო ტრანსფერია, ვერაფერს იტყვი. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ „მილანის" მესვეურებმა გვარიანად გარისკეს. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ იტალიურ ფეხბურთს ფინანსურად არ ულხინს და დღეს, ასეთი თანხის გადახდა მართლაც რომ დიდი რისკია. თანაც იმ ფეხბურთელში, რომლის ხასიათიც ყველამ კარგად ვიცით. როდესაც „ინტერში" გვყავდა, ყველანი გვერდში ვედექით, ყველანაირად ვამხნევებდით, მაგრამ ბევრი არაფერი გამოგვივიდა. ბალოტელის წარმატებას ვუსურვებ, იმედია „მილანში" მაინც იპოვის სიმშვიდეს".*

**ლაშა ნიკლაური**




მარიო ბალოტელი ოფიციალურად „მილანის" ფეხბურთელია

ამბები




ფრანჩესკო აჩერბი

### კიევო აჩერბის იმატებს

პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ **ფრანჩესკო აჩერბი** კარიერას „კიევოში" გააგრძელებს. 24 წლის მცველი გასულ ზაფხულს „მილანმა" „ჯენოადან" გადაიბირა, მაგრამ ფრანჩესკომ ძირითად შემადგენლობაში ვერაფრით დაიმკვიდრა ადგილი.

„კორიერე დელო სპორტის" ცნობით, აჩერბი „კიევოში" იჯარის წესით ითამაშებს და შემდეგ, ან „მილანს" დაუბრუნდება, ან „ჯენოას". საქმე იმაშია, რომ „როსონერი" ფრანჩესკოს უფლებების მხოლოდ ნახევარს ფლობს და თუ მის დაბრუნებას მოისურვებს, გენუურ კლუბს ზაფხულში შვიდი მილიონი ევრო უნდა გადაურიცხოს. თუმცა, „მილანს" რომ აჩერბიში ფულის გადახდა უნდოდეს, ალბათ არც „კიევოში" გაუშვებდა არენდით.

### პესკარადან ტორინოში

სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს, სერია A-ში ახალაღზევებულ გუნდებს შორის გარიგება შედგა. 23 წლის ბრაზილიელი ფორვარდი **ჯონატასი** „პესკარადან" „ტორინოში" გადაბარგდა და სეზონის მეორე ნახევარს „დელფინთა" რიგებში გაატარებს.

ჯონატასმა გასული სეზონი „ბრეშაში" გაატარა და 33 შეხვედრაში 16 გოლი გაიტანა, მიმდინარე სეზონში კი 12 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მხოლოდ ერთხელ შეარხია მეტოქე გუნდის კარის ბადე. ჯონატასი „ტორინოსთან" საიჯარო ხელშეკრულებას გააფორმებს, რა თქმა უნდა, გამოსყიდვის პერსპექტივით.

### ლაციომ შუა ხაზი გაამაგრა

„ლაციოს" ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, რომაული გუნდი ლისაბონის „სპორტინგის" უკვე ექს-ნახევარმცველით, **ბრუნო პერეირინიათი** გაძლიერდა. 24 წლის პორტუგალიელმა რომაულ კლუბთან 2016 წლამდე გააფორმა კონტრაქტი და შემდეგი განაცხადა:

*„იტალიაში თამაში ბავშვობიდან მინდოდა და ბედნიერი ვარ, რომ ეს ოცნება ამიხდა. „ლაციო" მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდია და მეც, ენთუზიაზმით ვარ აღსავსე. მიროსლავ კლოზე თანამედროვეობის უდიდესი ფორვარდია და მიხარია, რომ მასთან ერთად მომიწევს თამაში".*

### კასანიმ ჯენოა აირჩია

გადაწყვეტილი ამბავია, რომ მინიმუმ სეზონის დარჩენილ ნაწილს **მატია კასანი** „ჯენოაში" ითამაშებს. 29 წლის მცველი 2011 წლიდან „ფიორენტინაში" ასპარეზობდა, თუმცა მიმდინარე სეზონში თადარიგში ამოჰყო თავი და ახალი კლუბის ძიებაც ამად დაიწყო. 29 წლის უკანახაზელი გენუურ გუნდში არენდით გადავიდა და თუ ლიგურიელები მის გამოსყიდვას მოისურვებენ, 5 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ.

გასულ სეზონში, კასანი „ვიოლას" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო, მაგრამ მიმდინარე ჩემპიონატში რეზერვში აღმოჩნდა. ამის უმთავრესი მიზეზი **ვინჩენცო მონტელას** ახალი ტაქტიკაა - მკვეთრად გამოხატული მარჯვენა მცველი, 3-5-2-ს ვერაფრით მოერგო და **სავიჩი-გონსალო-რონკალიას** ჩრდილში მოექცა. „ჯენოას" დაცვაში უჭირს და კასანიზე იქ დიდ იმედებს ამყარებენ. მატიას გადაბირება „პალერმოსაც" სურდა, მაგრამ თავად ფეხბურთელმა „ჯენოა" აირჩია.

### მარიგა პარმაში დაბრუნდა

„ინტერში" სათამაშო პრაქტიკის გარეშე დარჩენილი **მაკდონალდ მარიგა** სეზონის დარჩენილ ნაწილს „პარმაში" გაატარებს. 25 წლის კენიელი ნახევარმცველი აგერ უკვე მესამე წელია „ინტერში" ირიცხება, თუმცა ძირითადად იჯარის წესით სხვადასხვა გუნდში ასპარეზობს. 2010-ში ესპანურ „რეალ სოსიედადში" ირჯებოდა, გასული სეზონის მეორე ნახევარი კი „პარმაში" გაატარა. მოკლედ, ემილიურ გუნდში ის მეორედ გადადის და წესით, არც უცხოდ უნდა იგრძნოს თავი - მისი კომენტარი ამის დასტურია:

*„მიხარია, რომ ამ შესანიშნავ ქალაქში ვბრუნდები, სადაც უამრავი მეგობარი მყავს. ფაქტია, „პარმას" უფრო ვჭირდები, ვიდრე „ინტერს" და გადაწყვეტილებაც ყოყმანის გარეშე მივიღე. ემილიური გუნდი ევროსაგზურისთვის იბრძვის და იმედია, ამ გზაზე მე ჩემს როლს ვითამაშებ".*

### ახალი ტალანტი ნაპოლიში

„პორტუს" გამოცდილი მცველის, **როლანდოს** გადაბირების შემდეგ, „ნაპოლის" მესვეურებმა ახალგაზრდა ტალანტიც დაიმატეს. ამიერიდან, 18 წლის **იოსიპ რადოშევიჩი** ნეაპოლური გუნდის ღირსებას დაიცავს. იტალიელებმა ახალგაზრდა ფეხბურთელი სპლიტის „ჰაიდუკიდან" გადაიბირეს, ხორვატული კლუბის ბიუჯეტში კი სამი მილიონი ევრო გადარიცხეს.

რადოშევიჩი ხორვატული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელია. რადოშევიჩის გადაბირება „პარმასაც" სურდა, მაგრამ თვითონ ფეხბურთელმა ნეაპოლური ვარიანტი არჩია.

**ლაშა ნიკლაური**




18 წლის იოსიპ რადოშევიჩს ეროვნულ ნაკრებში იწვევენ

# ლელომ რჩეული დააჯილდოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ „ლელოს“ ტრადიციული გამოკითხვის - „2012 წლის საუკეთესო სპორტსმენის“ შედეგების შეჯამება და დაჯილდოება გაიმართა. მოგეხსენებათ, ამ გამოკითხვას ჩვენი გაზეთი მკითხველთა შორის ატარებდა, რაც სავსებით ლოგიკური შედეგით დასრულდა - ხმათა დიდი უპირატესობით შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ძიუდოში ლაშა შავდათუაშვილმა გაიმარჯვა.

„მუზაში“ ამ ღონისძიებაზე დასასწრებად ოლიმპიური ჩემპიონები, ძიუდოში ოლიმპიური მედალოსნები, ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელობა, შავდათუაშვილის მწვრთნელები, ლონდონის ოლიმპიადის მედალოსნები და სპორტული სამყაროს წარმომადგენლები შეიკრიბნენ.

საუკეთესო სპორტსმენის გარდა, რამდენიმე ნომინაცია საკუთრივ „ლელომ“ დაასახელა და შავდათუაშვილამდე სწორედ ისინი დააჯილდოეს. „საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენის“ ტიტული „ლელომ“ ბათუმელ მოჭიდავე რამაზ ზოიძეს არგუნა, რომელიც შარშან ჭაბუკებში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონი გახდა, შარშანწინ კი ევროპაზე ბრინჯაო მოიპოვა, მსოფლიოზე - ოქრო. ყურადღება მიაქციეთ - ბოლო ორ სეზონში ზედიზედ გავიდა მსოფლიოს ფინალში, თუმცა ის არანაკლებ საინტერესო იმითაა, რომ ბერძნულ-რომაულის პარალელურად თავისუფალ ჭიდაობაშიც გამოდის.

რედაქციამ საუკეთესო მწვრთნელად ოლიმპიური ჩემპიონის პირველი დამრიგებელი ნიკო ბიბილაშვილი დაასახელა, „ძიუდოს პაპად“ წოდებული გურამ პაპიტაშვილი კი ძიუდოს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაასაჩუქრეს, ოღონდ მან გორიდან ღონისძიებაზე დასასწრებად ჩამოსვლა ვერ შეძლო. „სპორტის უჩინარი მუშაკის“ წოდება ცხენოსნობაში ვეტერინარ გიორგი ციციშვილს ერგო, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მართლაც უჩინრად ემსახურება სპორტის ამ სახეობას.

ღონისძიებაზე ლატარიაში კიმონოც გათამაშდა. ის „ლელოს“ რედაქტორ თენგიზ გაჩეჩილაძეს ერგო, მაგრამ მან პრიზი, რომელიც მოგვიანებით შავდათუაშვილის ავტოგრაფმა დაამშვენა, დიდსულოვნად დაუთმო ყველაზე ახალგაზრდა ძიუდოისტ გიგა გიგუაშვილს.

დაჯილდოების ფინალად ოლიმპიური ჩემპიონის და უკლებლივ ყველა ვერსიით შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორ შავდათუაშვილის დაჯილდოება იქცა. მას კუთვნილი პრიზი - „ლელოს“ ემბლემა გაზეთის მთავარმა რედაქტორმა თენგიზ გაჩეჩილაძემ გადასცა, ეს ყველაფერი კი ფეიერვერკით დასრულდა. ნომინანტებმა პრიზებთან ერთად საჩუქრად „ლელოზე“ ერთწლიანი უფასო ხელმოწერა მიიღეს, გაზეთი კი თბილისშიც და რეგიონებშიც შეუფერხებლად მიეწოდებათ შინ.

ირაკლი თავაძე



ლაშა შავდათუაშვილს პრიზი „ლელოს“ მთავარმა რედაქტორმა თენგიზ გაჩეჩილაძემ გადასცა



ახალგაზრდა სპორტსმენი - რამაზ ზოიძე



სპორტის უჩინარი მსახური - გიორგი ციციშვილი



ვეტერანი სპორტული ჟურნალისტი - გარუნ აკოპოვი



ოლიმპიური ჩემპიონი და მომავალი ჩემპიონი - გიგა გიგუაშვილი

## ლაშა შავდათუაშვილის ბრძოლები ლონდონის ოლიმპიადაზე



პირველი მსხვერპლი ჩილელი ალეხანდრო ზუინგა იყო



ფრანგი დევიდ ლაროსეც ბეჭებზეა...



...ისევე როგორც ბრიტანელი კოლინ ოატსი





ფინალამდე ერთი ნაბიჯილაა - იაპონელი ებინუმაც დამარცხებულია



და ქართული ტრიუმფი ლონდონში - ლაშამ ფინალში უნგრელ უნგვარის სძლია

თამუნა ყულუმბეგაშვილისა და კახა ბერიძის ფოტოები

ლიბერტადორესის თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

# ბრაზილიელთა ტრიუმფი

## პენტაკამპეონები ჯგუფურ ეტაპზე ექვსი გუნდით იქნებიან წარმოდგენილნი



ელანომ საოცარო სილამაზის გოლი გაიტანა

| გრემიო–ლდუ კიტო | 1:0 პენ. 5:4 |
|---|---|

**(პირველი მატჩი: 0:1)**

**გოლი:** 1:0 ელანო (62).

**პენალტების სერია:** 1:0 ანდრე ლიმა, 1:1 სარიტამა, 1:1 საიმონი (მეკარე), 1:2 ვიტი, 2:2 ვილიან ჟოზე, 2:2 ნ. რეასკო (ძელი), 3:2 პარა, 3:3 ველესი, 4:3 ე. ვარგასი, 4:4 კანუტო, 5:4 ალექს ტელესი, 5:4 მორანტე (მეკარე).

| ბოლივარი–სან პაულო | 4:3 |
|---|---|

**(პირველი მატჩი: 0:5)**

**გოლები:** 0:1 ლუიშ ფაბიანო (2), 0:2 ჟადსონი (16), 0:3 ოსვალდო (35), 1:3 ვ. ფერეირა (38), 2:3 ნ. კაბრერა (59), 3:3 ნ. კაბრერა (69), 4:3 ვ. ფერეირა (75-პენ).

გუშინ, კოპა ლიბერტადორესის კიდევ ორი საკვალიფიკაციო მატჩი გაიმართა, რომელთა შემდეგაც, ჯგუფურ ეტაპზე ორი ბრაზილიური გუნდი გავიდა. „კორინთიანსს", „ფლუმინენსეს", „პალმეირასს" და „ატლეტიკო მინეიროს", ჯგუფურ ეტაპზე, „გრემიო" და „სან პაულო" შეუერთდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრაზილიელებს, ამ ეტაპზე ყველაზე მეტი, ექვსი გუნდი ეყოლებათ.

„სან პაულოს" ორმატჩიანი დუელის ბედი გადაწყვეტილი ჰქონდა, რადგან პირველ შეხვედრაში „ბოლივარს" 5:0 მოუგო. მიუხედავად ამისა, ლა პასში თამაში სტუმრებმა აქტიურად დაიწყეს დ́ა 38-ე წუთისთვის ანგარიში 0:3 იყო (ორი მატჩის ჯამში 0:8). შეხვედრის ამ მონაკვეთში გაიბრწყინა **ჟადსონმა**, რომელმაც ერთი გოლი თვითონ გაიტანა, ორი კი პარტნიორებს გაატანინა. **ლუიშ ფაბიანომ** ამჯერად ერთი გოლი იკმარა (პირველ მატჩში დუბლი შეასრულა). ასევე გაიტანა **ოსვალდომაც**, ვინც ჟადსონის მსგავსად, თავი პირველ შეხვედრაშიც გამოიჩინა. მოკლედ, „ბოლივარი" საპასუხო მატჩშიც იმ ფეხბურთელებმა დააქციეს, ვინც ეს პირველ შეხვედრაში გააკეთა - ერთადერთი განსხვავება ის იყო, რომ ამჯერად **როჟერიო სენის** არ გაუტანია, სამაგიეროდ თავად სენის გაუტანეს, თანაც არაერთხელ. მოგეხსენებათ, ლა პასი ზღვის დონიდან 3600 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. გაიშვიათებულმა ჰაერმა და იმ ფაქტმა, რომ გუნდი ორი მატჩის ჯამში 8:0-ს იგებდა, **ნეი ფრანკოს** შეგირდები მოადუნა, რამაც გამოიწვია ის, რომ ბოლივიელებმა მეტოქეს ოთხი გოლი გაუტანეს და პრესტიჟის გამარჯვება მოიპოვეს.

„სან პაულო" ასპარეზობას მესამე ჯგუფში გააგრძელებს, სადაც მისი მეტოქეები „არსენალი" (არგენტინა), „სტრონგესტი" (ბოლივია) და „ატლეტიკო მინეირო" (ბრაზილია) იქნებიან.

გაცილებით რთული მატჩი ჰქონდა „გრემიოს", რადგან პორტუ ალეგრელთა მეტოქე „ბოლივარზე" ორი თავით ძლიერი იყო. „ლდუ კიტო" ეკვადორის ერთ-ერთი გრანდია, რომელსაც სიტყვა მთლიანად კონტინენტზეც ეთქმის. პირველ შეხვედრაში, რომელიც კიტოში გაიმართა, მასპინძლებმა 1:0 მოიგეს, რაც არცთუ ისე დიდ უპირატესობად მოჩანდა.

მასპინძლები მეტოქეს თავიდანვე ეკვეთნენ და ძალიან ბევრი მომენტიც შექმნეს, თუმცა რეალიზაციის მხრივ **ვანდერლეი ლუშემბურგოს** შეგირდებს აშკარად პრობლემები ჰქონდათ. ბევრი საგოლე მომენტის გამოუყენებლობის გამო, თითქოს „გრემიო" უნდა დასჯილიყო, მაგრამ სტუმრებს **მარსელო გროეს** შეწუხებაზე არც კი უფიქრიათ. საბოლოოდ, შეხვედრის ერთადერთი გოლი **ელანო ბლუმერმა** გაიტანა. მატჩის 62-ე წუთზე, „მანჩესტერ სიტის", „შახტარის" და „სანტოსის" ყოფილმა ნახევარმცველმა, ბურთი საკუთარ ნახევარზე მიიღო, მოედნის ცენტრი გადაკვეთა და ასე 35 მეტრიდან შორეული კუთხისკენ დაარტყა... რამდენიმე წამში, ახალ აშენებული, ულამაზესი „გრემიო არენა" აფეთქდა, რადგან ელანომ ბურთი სტუმართა კარის ცხრიანში ჩააჭედა. გოლი მართლაც არანორმალურად ლამაზი გამოვიდა.

ამ გოლის შემდეგ, მასპინძლებს მომენტები კიდევ ჰქონდათ, მაგრამ სხვა ბევრი ეპიზოდის მსგავსად, ვერც ამ შემთხვევებში ივარგეს. დაინიშნა პენალტების სერია, სადაც პირველი 11-მეტრიანი ბრაზილიელმა **საიმონმა** ვერ გაიტანა, თუმცა შემდეგ მას გამოცდილმა **ნეისერ რეასკომაც** მიჰბაძა. საბოლოოდ, როდესაც ანგარიში 5:4 გახდა, ნერვებმა **ედუარდო მორანტეს** უმტყუნეს, რომელმაც ბურთი მარსელო გროეს გაარტყა.

„გრემიო" ბოლო, მერვე ჯგუფში მოხვდა. ლუშემბურგოს გუნდის გარდა, ამ ჯგუფში ითამაშებენ: „კარაკასი" (ვენესუელა), „ფლუმინენსე" (ბრაზილია) და „უაჩიპატო" (ჩილე).

საფრანგეთის ნაკრები



# დეშამმა ვარანს უხმო

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, **დიდიე დეშამმა** ის 23 ფეხბურთელი დაასახელა, რომელიც გერმანიის ნაკრებთან სათამაშოდ მოემზადება. ეს საინტერესო ამხანაგური მატჩი 6 თებერვალს, „სტად დე ფრანსზე" გაიმართება. დეშამმა ნაკრებში პირველად გამოიძახა **რომენ ალესანდრინი**, რომელიც წელს შესანიშნავ სეზონს ატარებს და „რენის" ერთ-ერთ ლიდერად გვევლინება. ასევე დაბრუნდა **რაფაელ ვარანი**, ვინც „ბარსელონასთან" საოცარი მატჩი ჩაატარა და მხოლოდ საქებარ სიტყვებს იმსახურებს.

სრული შემადგენლობა კი ასეთია:

**მეკარეები:** მიკელ ლანდრო (ბასტია), უგო ლორისი (ტოტენჰემი), სტივ მანდანდა (მარსელი).

**მცველები:** გაელ კლიში (მანჩესტერ სიტი), პატრის ევრა (მანჩესტერ იუნაიტედი), მატიო დებუში (ნიუკასლი), ლორან კოშელნი (არსენალი), ადილ რამი (ვალენსია), ბაკარი სანია (არსენალი), მამადუ სახო (პარი სენ ჟერმენი), რაფაელ ვარანი (რეალი).

**ნახევარმცველები:** იოან კაბაი (ნიუკასლი), ეტიენ კაპუ (ტულუზი), მაქსიმ გონალონი (ლიონი), ბლეზ მატუიდი (პარი სენ ჟერმენი), მუსა სისოკო (ნიუკასლი), მატიო ვალბუენა (მარსელი).

**თავდამსხმელები:** რომენ ალესანდრინი (რენი), ქარიმ ბენზემა (რეალი), ოლივიე ჟირუ (არსენალი), ბაფეტიმბი გომისი (ლიონი), ჟერემი მენეზი (პარი სენ ჟერმენი), ფრანკ რიბერი (ბაიერნი).

20-წლამდელთა კოპა ამერიკა. ფინალური ჯგუფი. IV ტური

# პარაგვაი ან კოლუმბია

## ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდება

| ჩილე–კოლუმბია | 1:0 |
|---|---|

**გოლი:** 1:0 ნ. კასტილიო (45-პენ).

**გაძევება:** ბაესა (33. ჩილე), ბალანტა (64. კოლუმბია).

| პერუ–ეკვადორი | 3:2 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 რეინა (28), 2:0 რეინა (34), 2:1 უჩუარი (51), 2:2 ესტერილია (70), 3:2 პოლო (82).

**გაძევება:** ჯ. სომოსა (85. ეკვადორი).

| პარაგვაი–ურუგვაი | 1:0 |
|---|---|

**გოლი:** 1:0 ჯ. ალონსო (60).

**გამოუყენებელი პენალტი:** როლანი (87. ურუგვაი).

**გაძევება:** კრისტოფორო (68. ურუგვაი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პარაგვაი | 4 | 3 | 1 | 0 | 6-2 | 10 |
| 2. კოლუმბია | 4 | 3 | 0 | 1 | 4-2 | 9 |
| 3. ჩილე | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 4. ურუგვაი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-3 | 6 |
| 5. პერუ | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 6. ეკვადორი | 4 | 0 | 0 | 4 | 4-10 | 0 |

**ბომბარდირები:** 5 – ნიკოლას ლოპესი (ურუგვაი), ნიკოლას კასტილიო (ჩილე), იორდი რეინა (პერუ); 4 – დერლის გონსალესი (პარაგვაი), დიეგო როლანი (ურუგვაი), ჯონ კორდობა (კოლუმბია), ხუან კინტერო (კოლუმბია), ელი ესტერილია (ეკვადორი).

| ბოლო ტური |
|---|

4 თებერვალი: ჩილე-პერუ, კოლუმბია-პარაგვაი, ურუგვაი-ეკვადორი.

20-წლამდელთა კოპა ამერიკის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა. ჯერჯერობით, მხოლოდ ის გაირკვა, რომ ეკვადორი ბოლო ადგილს ვერ ასცდება და შესაბამისად, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურსაც ვერ მოიპოვებს. ჩემპიონობისთვის კი ორი გუნდი იბრძვის და ძალიან კარგია, რომ ეს ორი გუნდი ერთმანეთს ხვდება. პრაქტიკულად ფინალი მივილეთ, ოღონდ ამ „ფინალში" ფრე პარაგვაის აძლევს ხელს.

მე-4 ტურის სამივე შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და ჩვენც პირველი მატჩით დავიწყოთ:

პირველად მოედანზე (მატჩები ქალაქ მენდოსაში, „ესტადიო მალვინას არგენტინას"-ზე ტარდება) ჩილე და კოლუბმია გამოვიდნენ. კოლუმბიელები, ამ ტურის წინ, ჯგუფის ლიდერები და შესაბამისად, ტურნირის მთავარი ფავორიტები იყვნენ, ხოლო ჩილე მე-4 პოზიციაზე იმყოფებოდა და მისთვის მთავარი საზრუნავი ამ პოზიციის შენარჩუნება იყო, რისთვისაც აუცილებლად უნდა მოეგო. როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა – გულშემატკივარმა ორი გაძევება და ბევრი ყვითელი ბარათი იხილა. სამაგიეროდ, გოლი იყო ცოტა, უფრო სწორად მხოლოდ ერთი, რომელიც 45-ე წუთზე **ნიკოლას კასტილიომ** პენალტით გაიტანა. კასტილიოსთვის ეს ბურთი მეხუთე გახლდათ და ის ბომბარდირთა დავაში სეხნიას, **ნიკოლას ლოპესს** წამოეწია. ამ მოგების წყალობით, ჩილემ მუნდიალის საგზურის მოპოვების შანსი შეინარჩუნა, კოლუმბიამ კი უმნიშვნელოვანესი სამი ქულა დაკარგა.

ამის მერე, მინდორზე პერუ და უქულო ეკვადორი გავიდნენ. თუ ეს შეხვედრა ფრედ დასრულდებოდა, პირველი ოთხეულის ვინაობა ცნობილი გახდებოდა. 82-ე წუთამდე ყველაფერი ამისკენ მიდიოდა, მაგრამ ნახსენებ წუთზე, „ჯენოას" 18 წლის ფეხბურთელმა, **ენდი პოლომ** გამოიჩინა თავი და პერუს სამი ქულა მოუტანა. მანამდე, პერუელთა მხრიდან დუბლი **იორდი რეინამ** შეასრულა და ბომბარდირთა დავაში ისიც ერთ-ერთი თანალიდერია. გარდა ამისა, წითელი ბარათი ამ შეხვედრაშიც იყო: 85-ე წუთზე, არბიტრმა ეკვადორელებს **ჯუნიორ სომოსა** გაუძევა. 10-კაციანმა ეკვადორმა ანგარიშის კიდევ ერთხელ გათანაბრება ვერ შეძლო და საბოლოოდ შეხვედრა 3:2 დასრულდა. ახლა, ბოლო ტურში, პერუ ჩილეს შეხვდება და გამარჯვების შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონატზეც გავა.

ტურის ცენტრალური მატჩი კი მეზობლებს შორის შედგა. პარაგვაი-ურუგვაის მატჩის გამარჯვებული, ბოლო ტურის წინ, პირველ პოზიციაზე გადავიდოდა, ფრე კი კოლუმბიას ხელს აძლევდა. მატჩი ზუსტად ისეთი გამოდგა, როგორიც ტურის ცენტრალური შეხვედრა უნდა ყოფილიყო. დაძაბული ბრძოლა მთელი 90 წუთის განმავლობაში გაგრძელდა, ბოლოს კი დრამატული ფინალიც ვიხილეთ, რამაც ეს მატჩი კიდევ უფრო გაალამაზა.

შეხვედრის ერთადერთი გოლი მატჩის მე-60 წუთზე, პარაგვაელთა მარცხენა მცველმა, **ჯუნიორ ალონსომ** გაიტანა, ამ მომენტიდან 5 წუთში კი ურუგვაელები მოედანზე კაცნაკლულნი დარჩნენ – არბიტრმა **სებასტიან კრისტოფორო** გააძევა, რომელმაც 3-წუთიან მონაკვეთში ორი ყვითელი ბარათი მიიღო. თითქოს, ამით ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ 85-ე წუთზე ურუგვაიმ შესანიშნავი შანსი მიიღო – მათ 11-მეტრიანის დარტყმის უფლება მოიპოვეს. ბურთთან, უკვე „ბორდოში" გადასული **დიეგო როლანი** მივიდა, რომელსაც ამ ტურნირზე ორი პენალტი ჰქონდა გატანილი, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, ახალგაზრდა ფეხბურთელმა დაძაბულობას ვერ გაუძლო და 11-მეტრიანი ვერ გაიტანა.

ურუგვაიმ ჩემპიონობის ყველანაირი შანსი დაკარგა, არადა ფინალური ჯგუფის დაწყების წინ, ეს გუნდი მთავარ ფავორიტად მიიჩნეოდა. ჩემპიონობას ვინ ჩივის, იმის შანსიც კი არსებობს, რომ **ხუან ვერსერის** გუნდი მუნდიალის საგზურის გარეშე დარჩეს – ამისთვის საჭიროა, რომ პერუმ ჩილეს მინიმალური ანგარიშით მოუგოს, ხოლო ურუგვაიმ ეკვადორთან დიდი ანგარიშით წააგოს. თითქოს არარეალური სცენარია, მაგრამ სამხრეთ ამერიკაში, მით უმეტეს ამ ასაკის ფეხბურთელებში, გამორიცხული არაფერია.

პარაგვაი კი „პოულ პოზიციაზეა" და როგორც აღვნიშნეთ, ბოლო ტურში, ერთგვარი ფინალი ელის. ფრის შემთხვევაშიც კი, პარაგვაი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი გახდება, რაც მათთვის მეორე ტიტული იქნება (პირველი 1971 წელს მოიპოვეს), კოლუმბიას, რომელიც ახალგაზრდული კოპა ამერიკის გამარჯვებული ორჯერ გახდა (1987 და 2005 წლებში), მესამედ გაჩემპიონებისთვის მხოლოდ მოგება სჭირდება.



ჯუნიორ ალონსო (შუაში) გატანილ გოლს ზეიმობს

ტრანსფერი

# კავენაგი მექსიკაში წავიდა

„ვილიარეალში" გატარებული 6 თვის შემდეგ, **ფერნანდო კავენაგიმ** ესპანეთი დატოვა და სათამაშოდ მექსიკაში გადავიდა. 29 წლის არგენტინელის ახალი კლუბი „პაჩუკა" იქნება. შეგახსენებთ, რომ „ბორდოს" ყოფილი ფორვარდი, რომელიც შარშან „რივერ პლეიტს" პრიმერა დივიზიონის საგზურის მოპოვებაში დაეხმარა, არგენტინული კლუბიდან, **დანიელ პასარელას** ბრძანებით, უცერემონიოდ გაუშვეს, რის შემდეგაც კავენაგიმ ვალენსიურ კლუბს მიაშურა.

ამ სეზონში, არგენტინის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა ლიდერმა, სეგუნდა დივიზიონში 18 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა. კავენაგი მექსიკურ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადადის. მან **რაულ ტამუდო** უნდა შეცვალოს, რომელიც „რაიო ვალეკანოში" ბრუნდება.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვილდოსნობა. აჭარის პირველობა



# აჭარა – საქართველოსთვის

ამ დღეებში ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფლის სასპორტო სკოლის დარბაზში აჭარის ჩემპიონატი ჩატარდა მშვილდოსნობაში, რომელშიც 24 ჩუბინი გამოვიდა.

ეს მთლიანად რეგიონის სპორტსმენთა მზადებაზე ორიენტირებული შეჯიბრება იყო, რომელშიც არც ქვეყნის სხვა რეგიონების წარმომადგენლები ისროდნენ და არც - სომეხი ან აზერბაიჯანელი სპორტსმენები, რომლებიც ბათუმურ ტურნირებში სისტემატურად მონაწილეობენ. როგორც ნაკრების სხვა წევრ-კანდიდატები, ბათუმელი მშვილდოსნებიც თებერვლის ბოლოს პოლონეთში გასამართი ევროპის ზამთრის პირველობისთვის ემზადებიან. ამიტომ ეს შეჯიბრებაც დარბაზში გაიმართა, 18-მეტრიან დისტანციაზე.

ქალთა შორის ამჯერად უძლიერესი **ასმათ დიასამიძე** აღმოჩნდა, რომელმაც ფინალში **ლანა ვერულიძე** დაამარცხა. ბათუმელთა და საქართველოს ნაკრების ლიდერი **ხათუნა ნარიმანიძე** ამჯერად მესამე ადგილს დასჯერდა.

ვაჟთა შორის ახალი თაობის წარმომადგენელმა - **ტარიელ ბასილაძემ** გაიმარჯვა, ხოლო ძველი ლიდერი - **ტარიელ ქადიძე** ვერცხლს დასჯერდა. ბრინჯაო **გიგა კაკაბაძემ** მოიპოვა.

ახალგაზრდა გოგონების ტურნირში **მედეა აბულაძემ** ყველაზე მეტად იყოჩაღა და ფინალში ნარიმანიძის შვილს - **ციალა ფუტკარაძეს** მოუგო, ხოლო მესამე პრიზიორი **ნინო დევაძე** გახდა. ბიჭების პირველობა **არჩილ ფარსენაძის** უპირატესობით წარიმართა. ვერცხლი **გია გათენაძეს** ერგო, ბრინჯაო - **გიორგი შაინიძეს**.

ამ მცირე მოთელვის შემდეგ აჭარელ მშვილდოსნებს უახლოეს დღეებში ბევრად უფრო სერიოზული გამოცდა ელოდებათ - 3-5 თებერვალს თბილისში ქვეყნის ზამთრის პირველობა ტარდება. სწორედ იქ გაირკვევა პოლონეთში წამსვლელი ნაკრების შემადგენლობა. აქვე შეგახსენებთ, რომ ჩვენები ევროპის ზამთრის პირველობის მოქმედი ჩემპიონები არიან - ორი წლის წინ ესპანურ კამბრილსში გაიმარჯვეს.

**ირაკლი თავაძე**



## მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს სეულის 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონსა და ვერცხლის პრიზიორს ტყვიის სროლაში, მსოფლიოს ჩემპიონსა და პრიზიორს, ევროპის ჩემპიონატის მრავალგზის გამარჯვებულს, მსოფლიო რეკორდსმენს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების კავალერს, ამჟამად სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტს **ნინო სალუქვაძეს** და უსურვებს მას ჯანმრთელობასა და წარმატებებს.

ჭიდაობა. ფედერაცია

# დაპირისპირება საჭიდაო ოჯახში

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში უსიამოვნო ამბები გრძელდება - პრეზიდენტ **ლუკა კურტანიძესა** და ვიცე-პრეზიდენტ **თემურ ყაზარაშვილს** შორის მომხდარი ჩხუბი კვლავაც არ მინავლებულა. მართალია, გუშინდელმა დღემ ფიზიკური დაპირისპირების გარეშე ჩაიარა, თუმცა ფედერაციის ოფისში თუ მის გარეთ მთელი დღე ხალხმრავლობა იყო - შიგნით კურტანიძის მხარდამჭერები იყვნენ, გარეთ - მოწინააღმდეგეები. როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, საჭიდაო ოჯახი ამჯერადაც ორად გაიყო, თუმცა იმაში ყველა თანხმდება, რომ ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა და ამით მათი ავტორიტეტი შეილახა.

თუმცა აზრები თავად ფიზიკური დაპირისპირების ფაქტზეც ორადაა გაყოფილი - ყაზარაშვილის საპირისპიროდ კურტანიძე ამტკიცებს, რომ მას ვიცე-პრეზიდენტი არ უცემია და ეს მის წინააღმდეგ აგორებული ჭორია. ამის შესახებ მან გუშინ საღამოს პრესკონფერენციაზე განაცხადა. მე რომ ყაზარაშვილი მეცემა, ის ბევრად უფრო ცუდ დღეში იქნებოდაო, თქვა პრეზიდენტმა...

გუშინვე ფედერაციას ვესტუმრეთ მხარეთა პოზიციების დასაზუსტებლად. ყაზარაშვილმა მომხდარი დეტალურად გაიხსენა. *„კურტანიძემ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელთა ხელფასების დანიშვნის ბრძანებაზე ხელის მოწერა მთხოვა. ხელმოწერის უფლება მხოლოდ მე მქონდა, რადგან ფედერაციის ხელმძღვანელობაში ახალი ხალხია და რეესტრში სხვა არავინაა გატარებული. საინტერესოა, რომ იმ სიაში მხოლოდ ახალი მწვრთნელები იყვნენ, ანუ ძველები უხელფასოდ რჩებოდნენ. ამ ხელმოწერაზე უარი ვუთხარი იმ მოტივით, რომ მწვრთნელთა შეცვლა არ იყო პრეზიდიუმზე განხილულ-დამტკიცებული. ამას მოჰყვა შეკამათება და მითხრა, მე და შენ ერთად ვერ ვიმუშავებთ, ნადიო... როცა მიზეზი ვკითხე, უკვე უფრო ხმამაღლა გამიმეორა, გითხარი, რომ ერთად ვერ ვიმუშავებთო... ამაზე ვუპასუხე, ჩემი წასვლა შენი გადასაწყვეტი არაა, რადგან ამ პოსტზე არჩეული ვარ და ყრილობამ უნდა გადამირჩიოს-მეთქი. ამასობაში შიგნით შევედით და კამათისას ხელი მკრა, წავიქეცი. ჩაგვიდგნენ შუაში, მაგრამ მერე წიხლი მომარტყა...*

*მოგვიანებით საავადმყოფოში წამიყვანეს, რადგან ცუდად ვიყავი. პოლიციასაც მათ შეატყობინეს, მაგრამ გამომძიებლებს ვუთხარი, რომ მცირე ინციდენტი მოხდა, თუმცა არ ვუჩივი და ამას ჩვენვე მოვაგვარებთ-მეთქი... მომხდარის შემდეგ კურტანიძე არ მინახავს, მისი მეგობრები კი დამელაპარაკნენ. როგორც გითხარით, მე სასამართლოში წასვლას არ ვაპირებ, მაგრამ ეს საკითხი ალმასკომმა და საჭიდაო ოჯახმა უნდა განიხილონ“.*

ჩვენი მისვლისას კურტანიძე ფედერაციაში არ დაგვხვდა. მის ნაცვლად კომენტარი გენერალურ მდივან **გიორგი ლომიძეს** ვთხოვეთ, რომელიც იმ ინციდენტს თავად შეესწრო, თუმცა ის ცემის ფაქტს უარყოფს: *„პატარა ინციდენტი იყო. ყაზარაშვილს ჩვენ ყველა დიდ პატივს ვცემთ, როგორც პატივსაცემ პიროვნებას, მაგრამ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით მას თავისი აზრი გააჩნია, კურტანიძეს - თავისი. სერიოზული არაფერი ყოფილა, მათ შორის - არც ცემის ფაქტი. მოჭიდავეები ვართ, ცხოვრებაში კი ემოციები ჩვეულებრივი ამბავია. იმედია, ეს ყველაფერი დალაგდება და შერიგდებიან“.*

გუშინვე ფედერაციაში სათათბიროს თავმჯდომარე, ვეტერანი მოჭიდავე **რომან რურუაც** იმყოფებოდა, რომელმაც შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, კითხვა ბევრი დაგროვდა და კურტანიძეს ხვალამდე ვაძლევთ ვადას, რათა ვითარებაში გაგვარკვიოს და აგვიხსნას, რა ხდებაო. გუშინ საღამოსვე კურტანიძე და თავისუფალ ჭიდაობაში ასაკობრივი ნაკრებების ექს-მთავარი მწვრთნელები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლევან ყიფიანს** შეხვდა. მოგვიანებით სამინისტროში ნაკრების წევრებიც დაიბარეს.

ბუნებრივია, როცა მხარეთა პოზიციები ასე დიამეტრულად განსხვავებულია, ჩვენ ვერაფერს ვამტკიცებთ იმის გარდა, რომ მსგავსი არეულობა ძალიან ცუდია და ეს უარყოფითად მოქმედებს სპორტსმენებზე. არადა, წინ ევროპის ჩემპიონატია, იქამდე კი ორი თვეც აღარ დარჩა.

**P.S.** მინისტრთან შეხვედრის შემდეგ კურტანიძემ კონფლიქტს ამოწურული უწოდა და დაამატა, რომ საკადრო ცვლილებები ძალაში რჩება. „თავისუფალთა“ ასაკობრივი ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელებმა კი რეალობა აბსურდის თეატრად შეაფასეს. დაპირისპირება მოგვარებულად მიიჩნია მინისტრმა ყიფიანმაც, რომელმაც ჭიდაობის ფედერაციის სამოქმედო გეგმას სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი



# ქუთაისში შეხვედრამდე

ყვარელი სამი დღის განმავლობაში მასპინძლობდა 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის აღმოსავლეთი ქვეჯგუფის მე-3 ტურის ორთაბრძოლებს. ფინალში გასასვლელ ოთხ საგზურს მასპინძლებთან ერთად თელავის, ლაგოდეხის, გორისა და რუსთავის გუნდები ეცილებოდნენ ერთმანეთს.

**I დღე.** გორი - ლაგოდეხი 21:20, რუსთავი - თელავი 20:22, გორი - ყვარელი 25:22, რუსთავი - ლაგოდეხი 17:19.

**II დღე.** ლაგოდეხი - თელავი 22:36, გორი - რუსთავი 29:22, ყვარელი - ლაგოდეხი 40:16, გორი - თელავი 23:22, რუსთავი - ყვარელი 20:29.

**III დღე.** თელავი - ყვარელი 30:33. ქარელის გუნდი ყვარელში სათამაშოდ არ ჩავიდა, რის გამოც ხუთივე შეხვედრაში ტექნიკური წაგება (0:10) ჩაეთვალა.

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: გორი - 10 ქულა (108:86), ყვარელი - 8 (134:91), თელავი - 6 (120:98), ლაგოდეხი - 4 (87:114), რუსთავი - 2 (89:99), ქარელი - 0. ფინალში გორი, ყვარელი, თელავი და ლაგოდეხი გავიდნენ.

2-5 თებერვალს ქუთაისში დასავლეთის ჯგუფის გუნდები იბრძოლებენ 4 საგზურისთვის.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ფიდეს რეიტინგით

ყოველი თვის მონაგრის მიხედვით ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია რეგულარულად აქვეყნებს დიდოსტატებისა და საერთაშორისო ოსტატების ახალ სარეიტინგო მაჩვენებლებს. პირველი თებერვლისთვის არნახულ მაჩვენებელს მიაღწია მაგნუს კარლსენის შედეგებმა: ვეიკ-ან-ზეეს ტურნირის მოგების შემდეგ ნორვეგიელი დიდოსტატი ვაჟთა საუკეთესო ასეულს სარეკორდო 2872 პუნქტით (მსოფლიოს მე-13 ჩემპიონის გარი კასპაროვის მიღწევა მთელი 21 პუნქტით გააუმჯობესა) უდგას სათავეში. მას საგრძნობლად ჩამორჩება რუსი ვლადიმირ კრამნიკი (2810). მესამე ადგილზეა სომეხი ლევონ არონიანი (2809). პირველ ათეულში მომდევნო ადგილებზე მოდიან: თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 2793), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2786), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2780), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 28771), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2767), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2766), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2764). ვაჟთა საუკეთესო ასეულში ერთადერთი ქართველი დიდოსტატია - გალელი **ბაადურ ჯობავა,** რომელმაც 2702 პუნქტით 50-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ქალებში უწინდელი პოზიციები შეინარჩუნა **ნანა ძაგნიძემ**, რომელსაც 2555 პუნქტით მეხუთე ადგილი უკავია. ასეულის სათავეში ისევ მკვიდრად დგას უნგრელი იუდით პოლგარი - 2696). მეორე ადგილზეა მსოფლიო ექსჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2617), ძაგნიძეს, ასევე, უსწრებენ ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2597) და ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2582). მეექვსე-მეათე ადგილებს კი ჟაო სიუ (ჩინეთი, 2554), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2547), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2531), მარი სებაგი (საფრანგეთი, 2530) და პია კრამლინგი (შვედეთი, 2523).

ძაგნიძის გარდა, ქართველთაგან ასეულში, ასევე, არიან: 17. **ბელა ხოტენაშვილი** (2499), 31. **ლელა ჯავახიშვილი** (2461), 43. **ნინო ხურციძე** (2437), 54. **სოფიკო გურამიშვილი** (2414), 64. **სალომე მელია** (2403), 70. **ნაზი პაიკიძე** (2392), 75. **სოფიკო ხუხაშვილი** (2386). 20-წლამდელ გოგონათა ნუსხაში მხოლოდ სამი ჩვენებურია: 4. ნაზი პაიკიძე (2392), 7. **მერი არაბიძე** (2355), 25. **მარიამ დანელია** (2252). ბიჭების ასეულში კი **ზურაბ ჯავახაძემ** შეაღწია - 2449 პუნქტით ის მეოთხმოცეა.

**ვაჟა დანელია**

# მეხუთეს დასჯერდა

ᲒᲘᲑᲠᲐᲚᲢᲐᲠᲨᲘ დასრულდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველი დიდოსტატები - **ნანა ძაგნიძე** და **სალომე მელიაც** მონაწილეობდნენ.

გუშინ ბოლო მე-10 ტურში ძაგნიძე ჰოანგ თან თრანგს (უნგრეთი) დაუზავდა, ხოლო მელიამ ხრისტოს ზიგურისს (საბერძნეთი) სძლია და ასპარეზობა 6 ქულით დაასრულა, რამაც ჩვენებურს 15,5 სარეიტინგო პუნქტი მოუტანა. განსაკუთრებით საიტერესო აღმოჩნდა ჩინელი ჟაო სიუს და უკრაინელი ვასილი ივანჩუკის პაექრობა, რომელიც ყაიმით დასრულდა. აზიელმა მოჭადრაკემ 7.5 ქულით ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა და 12.000 ბრიტანული ფუნტი დაიმსახურა. 7-7 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები ანტოანეტა სტეფანოვამ (ბულგარეთი), ვალენტინა გუნინამ (რუსეთი) და ანა მუზიჩუკმა (სლოვენია) გაინაწილეს. ნანა ძაგნიძე 6.5 ქულით მე-5 ადგილზე გავიდა.

მთავარ ტურნირში ლიდერთა კიდევ 3 პარტია დასრულდა ყაიმით. დაზავდნენ: ნიკიტა ვიტიუგოვი (რუსეთი) - მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი), დავიდ ნავარა (ჩეხეთი) - ნაიჯელ შორტი (ინგლისი), კირილ გეორგიევი (ბულგარეთი) - მაიკლ ადამსი (ინგლისი), ინდოელმა ჩანდა სანდიპანმა კი ლე ქუანგ ლიემი (ვიეტნამი) დაამარცხა. ამდენად, 10 შესაძლებლიდან 8-8 ქულა ნიკიტა ვიტიუგოვმა, მაქსიმ ვაშიე-ლაგრავმა, ჩანდა სანდიპანმა და ნაიჯელ შორტმა მოაგროვეს. გამარჯვებულის გამოსავლენად ტაიბრეიკები დაინიშნა. რაპიდში (10 წუთს+5წამი) შორტმა ვაშიე-ლაგრავს 1,5:0,5 სძლია. ვიტიუგოვმა ასეთივე ანგარიშით სანდიპანი დაამარცხა. ფინალში ვიტიუგოვმა შორტს ერთი პარტია მოუგო, მეორე ყაიმით დაასრულა და ოჯახური ბიუჯეტი 20.000 ბრიტანული ფუნტით გაიმდიდრა.




**ვაჟა დანელია**

ძიუდო. კონტინენტური თასი

# უქმეებზე ძიუდო გვეწვევა

ᲨᲐᲑᲐᲗ-ᲙᲕᲘᲠᲐᲡ თბილისის სპორტის სასახლე კვლავ უმასპინძლებს საერთაშორისო ტურნირს ძიუდოში, რომელსაც ამჯერად „ევროპის ღია თასი“ ენოდება. ტრადიციულად, ჩვენს შეჯიბრებას კვლავაც სეზონის გახსნის პატივი ერგო და მოსალოდნელი იყო, რომ ძლიერი შემადგენლობა არ ჩამოვიდოდა, თუმცა არც მთლად ასეა საქმე - წინასწარი მონაცემებით, ჩამოსვლის სურვილი 21-მა უცხოურმა გუნდმა დაადასტურა, სტუმარ ფალავანთა რაოდენობამ კი 200-ს მიაღწია. სამი ქვეყანა მხოლოდ მსაჯებით იქნება წარმოდგენილი - ავსტრალია, ახალი ზელანდია და ჰოლანდია. საჭიდაოდ ჩამოდიან იაპონია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ბელარუსი, ბულგარეთი, კანადა, ირანი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ლიტვა, ლატვია, რუმინეთი, უკრაინა, საბერძნეთი, უნგრეთი, ყაზახეთი, თურქეთი, სლოვენია, ისრაელი და სერბეთი. მონაწილეთა შორის დიდ ვარსკვლავებს ვერ ვნახავთ, მაგრამ იქნებიან ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი **ტაკეში ოჯიტანი** (+100), ქვეყნის პირველობის გამარჯვებული **რუი სიჩინოე** (+100) იაპონიიდან, 23-წლიანებში ევროპის ჩემპიონი **არტემ ბლოშენკო** (100) უკრაინიდან, ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **ანდრეი კაზუსიონაკი** (90) და ევროპის ვერცხლის მედალოსანი **ალექსანდრ სტიაშენკა** (81) ბელარუსიდან, ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი **ჰოვანეს დავთიანი** (60) და ევროპის გამარჯვებული **არმენ ნაზარიანი** (66) სომხეთიდან, **ორ სასონი** (100) ისრაელიდან, გუნდური მსოფლიოს ჩემპიონი **არსენ** [illegible] (81) რუსეთიდან და სხვა... ძიუდოს [illegible] კავშირის საიტს თუ დავუჯერებთ, საბერძნეთში [illegible] ოლიმპიური ჩემპიონი **ჯარჯი ზვიადაურიც** (90) უნდა იჭიდაოს, თუმცა მონაწილეთა სიები საბოლოოდ დღეს დაზუსტდება, როცა 20 საათზე სასტუმრო „ჰოლიდაი ინში“ კენჭისყრა გაიმართება.

საშინაო ტურნირისთვის ჩვენი ნაკრებიც გულმოდგინედ ემზადება, რომელიც თბილისში გადიოდა შეკრებას. გუშინ გუნდმა ძიუდოს აკადემიაში ღია ვარჯიში გამართა და გაირკვა ჩვენებურთა საბოლოო შემადგენლობა. მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ** ადრე შეგულებულ ფალავანთაგან ორი დაასვენა - **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) და **ვალერი ლიპარტელიანი** (90). ასევე არ იჭიდავებს ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (66) - ეს სამეული ტურნირებში პარიზში 9-10 თებერვალს გასამართი „დიდი მუზარადიდან“ ჩაებმება.

შეჯიბრების განრიგი ასეთია: ხვალ 60, 66 და 73-ის ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენები - ზეგ. შეხვედრები 10 საათზე დაიწყება, ბილეთი კი სიმბოლური ფასი, 1-2 ლარი ეღირება.

**ირაკლი თავაძე**

**საქართველოს ნაკრები**

**60 კგ.** ვაჟა მარგველაშვილი, ამირან პაპინაშვილი, პაატა მერებაშვილი, გიორგი ბროლაშვილი.

**66 კგ.** ტრისტან ფეიქრიშვილი, მინდია ლილუაშვილი, ვანო თოთლაძე, თორნიკე თათარაშვილი.

**73 კგ.** ნუგზარ ტატალაშვილი, არსენ მაჭარაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი, გიორგი პაპუნაშვილი.

**81 კგ.** 1. პაატა ლვინიაშვილი, ლევან წიკ[illegible]

**90 კგ.** [illegible]

**100 კგ.** [illegible]

**+100 კგ.** [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი



გიორგი ჩხაიძე ბუქარესტში რუმინეთის ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ

# ბორჯღალოსნებს გიორგი ჩხაიძე უკაპიტნებს

## ბელგიას ცეცხლში გამოწრთობა ელოდება

**საქართველოს ნაკრები გუშინ საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანიდან, სადაც საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა, ბრიუსელში გაემგზავრა. „ბორჯღალოსნები“ ერთა თასის წლევანდელი გათამაშების პირველ ტურში, „ეიზელზე“ ბელგიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან, რომლებიც ტურნირის დებიუტანტები არიან.**

ჩვენი გუნდის ახალზელანდიელმა თავკაცმა **მილტონ ჰეიგმა** გამგზავრების წინ საბრძოლო რაზმი დაასახელა. ძირითად შემადგენლობაში ორი სიახლეა. გარემარბის პოზიციაზე ტრავმირებული **ირაკლი მაჩხანელის** (არმაზი) ნაცვლად ითამაშებს საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „მონ დე მარსანის“ შუამარბი **თამაზ მჭედლიძე,** რომელიც ეროვნული ნაკრების კვართს პირველად მოირგებს.

მართალია დებიუტანტი არ არის, მაგრამ ჰეიგმა პირველად ანდო ადგილი ძირითად შემადგენლობაში „ლოკომოტივის“ ფულბეკ **ბექა ნიკლაურს.** ცხრა ნომრის პოზიციაზე, რომელზეც აქამდე **ირაკლი აბუსერიძე** თამაშობდა **გიორგი ბეგაძე** (ბათუმი) იასპარეზებს. მისი დუბლიორი კი ახალგაზრდული ნაკრების წევრი, რუსთავის „ხარების“ ცხრა ნომერი **ვაჟა ხუციშვილი** იქნება, რომელიც ბელგიელებთან დაპირისპირებაში პირველ კეპს მოიხვეჭეს. კიდევ ერთი დებიუტანტია ქუთაისის „აიას“ და ახალგაზრდული ნაკრების გარემარბი **გიორგი ფრუიძე,** რომელიც ჩვენი გუნდის სათადარიგოთა შორის იქნება.

ჩვენი ეროვნული გუნდი აბუსერიძის ნაკრებიდან წასვლის გამო უკაპიტნოდ იყო დარჩენილი. მწვრთნელების გადაწყვეტილებით ბელგიელებთან მატჩში გუნდს მეორეხაზელი **გიორგი ჩხაიძე** (ტარბი) წარუძღვება. მას მეორე ხაზში ტულონელი **კონსტანტინე მიქაუტაძე** შეუწყვილდება.

ყველაზე სოლიდურად მაინც მესამე ხაზი გამოიყურება. **ვიქტორ კოლელიშვილი** (კლერმონი), **მამუკა გორგოძე** (მონპელიე) და **დიმიტრი ბასილაია** (ედინბურგი) - ამ შემადგენლობით საქართველოს ნაკრების მესამე ხაზს 2011 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ აღარ უთამაშია.

საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურებში „მონპელიეს“ შემადგენლობაში რეგულარულად უწევს თამაში პირველხაზელ **მიხეილ ნარიაშვილს,** სწორედ ამიტომ, მან ჰეიგის ნდობაც დაიმსახურა და ძირითად შემადგენლობაში დააყენა. გამოცდილი და მრავლისმნახველი **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი) კი სათადარიგოთა შორის იქნება. პირველ ხაზში ნარიაშვილის პარტნიორობას **შალვა მამუკაშვილი** (არმია) და **დავით ქუბრიაშვილი** (ტულონი) გაუწევენ.

საბრძოლო რაზმში ტრავმის გამო ვერ მოხვდა მეორეხაზელი **ვახტანგ მაისურაძე** (ალბი). ასევე გამოცდილი მოთამაშეები **თედო ზიბზიბაძე** (პერიგო) **და ირაკლი ყიასაშვილი** (ლელო). ამათ გარდა საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდნენ ახალგაზრდა მორაგბეები **ზურაბ ჟვანია** (სტად ფრანსე) და **თორნიკე ლომიძე** (მონპელიე).

ამასობაში საქართველოს ნაკრებთან საბრძოლველად ემზადება ბელგიის ნაკრებიც, რომელსაც 2015 წლის მსოფლიოს თასის ვებ გვერდმა www.rygbyworldcup.com-მა სპეციალური წერილი მიუძღვნა სათაურით „ბელგიას ცეცხლში გამოწრთობა ელოდება“. პუბლიკაციაში ერთი უცნაური დეტალია. ბელგიელთა შოტლანდიური წარმოშობის ფრანგი თავკაცი **რიჩარდ მაკლინტოკი** ამბობს, რომ 2002 წელს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს წვრთნიდა. იმ პერიოდში ჩვენს ეროვნულ გუნდს ფრანგი მწვრთნელი **კლოდ სორელი** ჰყავდა, რომელიც, ცხადია, ფრანგ ასისტენტებთან ერთად მუშაობდა, მაგრამ რიჩარდ მაკლინტოკის შესახებ აქამდე არავის სმენია.

გთავაზობთ ამონარიდს ამ სტატიიდან:

*„შავი ეშმაკები“ ევროპის ერთა თასზე წლეულს პირველად იასპარეზებენ. ცხადია, ბელგიელებისთვის ეს უდიდესი გამოცდილება იქნება, თუმცა ნოემბრის ტესტებზე ჰონკონგისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრებების წინაალმდეგ მატჩებში გამარჯვების შემდეგ, მათი მთავარი მწვრთნელი რიჩარდ მაკლინტოკი ოპტიმისტურადაა განწყობილი, თუმცა კარგად ესმის, რომ პირველივე შეხვედრაში სულ სხვა, გაცილებით მაღალი დონის გუნდთან, საქართველოს ნაკრებთან უწევს თამაში.*

*„უწინარესად, ჩემმა მოთამაშეებმა იმაზე უნდა იზრუნონ, რომ კარგი გამოცდილება მიიღონ და სათამაშო დონე აიმაღლონ. ჩვენი მეტოქე გუნდების მორაგბეთა უმრავლესობა ხომ პროფესიონალია.*

*საქართველოს ნაკრები ტურნირზე უძლიერესია. მათ დიდი გამოცდილება აქვთ. 2002 წელს ამ ქვეყნის 19-წლამდელთა ნაკრებს ვწვრთნიდი. ისინი ღირსეული კაცები არიან, უსაზღვროდ უყვართ სამშობლო და ყველა მატჩში თავდადებით, ბოლომდე იბრძვიან. იმისთვის, რომ მათ კონკურენცია გაუწიო, ასეთივე თვისებებით უნდა იყო შემკული. ვეცდებით მათ მივბაძოთ.*

*მოგებაზე არ ვფიქრობთ, ამაზე უბრალოდ არც ვოცნებობთ. სამწუხაროდ, ჩვენი პრობლემა ის არის, რომ უშელავათო ბრძოლა გვიწევს ადგილობრივ სპორტულ მედიასთან და სპონსორებთან. ძალიან მოკლე დროში მოვახერხეთ და მსოფლიოს რეიტინგში 58-ე ადგილდიან 21-ეზე გადავბარგდით. მიუხედავად ამისა, პრესა არ ჩქარობს მხარდაჭერა გამოგვიცხადოს და ჩვენს თავგადასავლებს მწირი მასშტაბებით აშუქებს. შესაბამისად გვიჭირს სპონსორებთან ურთიერთობაც“*

საგულისხმოა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჟაკ როგი** ყოფილი მორაგბეა. „ბრიტანელი ლომების“ ლეგენდარული შუამარბი **ჯონ რაფაელი** კი ბრიუსელში დაიბადა.

შეგახსენებთ, რომ თამაში ბრიუსელში 2 თებერვალს თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება. სამწუხაროდ, ბელგიის ტელევიზია მატჩის რეპორტაჟს არ გადასცემს, რის გამოც ტრანსლაციას ვერც საზოგადოებრივი მაუწყებელი ახერხებს.

**საქართველო:** 15. ბექა ნიკლაური, 14. ალექსანდრე თოდუა, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. თამაზ მჭედლიძე, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. გიორგი ბეგაძე. 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. გიორგი ჩხაიძე, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. ვიქტორ კოლელიშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.

16. რევაზ ბელქანია, 17. დავით ხინჩაგიშვილი, 18. ლევან ჩილაჩავა, 19. შალვა სუთიაშვილი, 20. ბექა ბიწაძე, 21. ვაჟა ხუციშვილი, 22. ლაშა ხმალაძე, 23. გიორგი ფრუიძე.

**ერთა თასი**

**I ტური**

**ბელგია-საქართველო**
**რუსეთი-ესპანეთი**
**პორტუგალია-რუმინეთი**

ინტერვიუ მერაბ კვირიკაშვილთან

# გორგოძე ძალიან დიდი ავტორიტეტია

**ქართველი მწვრთნელების საზღვარგარეთ სტაჟირება იშვიათი მოვლენაა. ამას ჩვენი სპეციალისტები ძირითადად პირადი კონტაქტებით ახერხებენ, რადგან მსგავსი ღონისძიებები ევროპასა და სხვა განვითარებულ სარაგბო ქვეყნებში საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ახლახან საფრანგეთიდან დაბრუნდა საქართველოს ჩემპიონატის ლიდერის, თბილისის „ლელოს“ მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი, რომელმაც სტაჟირება ორ მოწინავე ფრანგულ კლუბში, „მონპელიესა“ და „ტულონში“ გაიარა.**

- თავდაპირველად გადაწყვეტილი მქონდა, რომ ორი კვირა, მხოლოდ „მონპელიეში“ გამევლო სტაჟირება, მაგრამ მალევე ტულონში გამგზავრების შანსი მომეცა და, ცხადია, გამოვიყენე. მონპელიეში მოკლე დროში, რაც შეიძლებოდა მაქსიმალურად ვეცადე ინფორმაციის შეგროვება. გუნდს საკმაოდ ინტენსიური ვარჯიშები ჰქონდა და მთავარ მწვრთნელთან, ფაბიენ გალტიესთან მუდმივად კონტაქტში ვიყავი.

**- კონკრეტულად რა თემებზე გქონდათ გალტიესთან საუბარი და, როგორ მიგაჩნიათ, რამდენად მაღალი დონის მწვრთნელია ის?**

- რაგბი სპორტის ის სახეობა არ არის, სადაც ახალი ველოსიპედის გამოგონება შეიძლება. ცხადია, გუნდების მწვრთნელებმა კარგად უწყიან, ვინ რა ტაქტიკით თამაშობს, რა კომბინაციებს ანიჭებს უპირატესობას. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ მთავარი ყოველივე ამაში არის მცირედი დეტალები, რომლებსაც ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ. გალტიე ხშირად ისეთი, თითქოსდა უმნიშვნელო რამის გამო აჩერებდა ვარჯიშს, ერთი შეხედვით ჩვენთვის საინტერესო არ არის. სინამდვილეში კი, თამაშის მსვლელობისას, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

ცხადია, ის შესანიშნავი მწვრთნელია. ამასთან ერთად, ბრწყინვალე პიროვნებაა. იშვიათად ხდება, როცა უცხოელი მწვრთნელი ზედმეტ ყურადღებას გაქცევს, გალტიე კი პირიქით, ძალიან დიდ დროს მითმობდა. ეს, ცხადია, უწინარესად მამუკა გორგოძის დამსახურებაა. საკუთარი თვალით ვნახე, როგორი დამოკიდებულება აქვთ მასთან მწვრთნელებს, მოთამაშეებსა და ქომაგებს. ის არ იცვლება, ძველებურად თავმდაბალი და ურთიერთობაში გაწონასწორებულია.

**- მონპელიეში ყოფნისას, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ადგილობრივი გუნდისა და „ტულონის“ მატჩს დაესწარით. გაგვიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილებები.**

- ასეთი აჟიტირებული არასდროს ვყოფილვარ. „ტულონი“ ვარსკვლავებით გადაჭედილი გუნდია. შემადგენლობას რომ შევხედე, თავი პლანეტარიუმში მეგონა. თუმცა „მონპელიემ“ შესანიშნავად ითამაშა და დაამარცხა ის. როგორ შეიძლება თქვა, რაგბის მატჩი ერთმა კაცმა მოიგოო, მაგრამ მართლა ასე იყო. გორგოძემ, რომელიც იმ მატჩში გუნდის კაპიტანი გახლდათ, თავისი შემართებით, ბრძოლის ჟინით და თავდადებით მთელი გუნდი აიყოლია.

ერთ-ერთ ეპიზოდში მამუკას წარბი გაუსკდა, ათი წუთით შეცვალეს, დახმარება აღმოუჩინეს და თავშეხვეული მოედანზე რომ დაბრუნდა, სტადიონი ლამის დაინგრა. დიდს თუ პატარას პირზე გორგოძე აკერია. ძალიან დიდი ავტორიტეტია. ქურთუკზე „ჯორჯია“ მეწერა და, რომ დამინახავდნენ დიდ სითბოს გამოხატავდნენ. როცა გაიგებდნენ, რომ გორგოძის პირველი მწვრთნელი ვიყავი, აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ძალიან დიდი ემოციებით ვიყავი დამუხტული.

**- მოდით, მონპელიედან ტულონში გადავბარგდეთ. რამდენად ნაყოფიერი გამოდგა მულტიმილიონერი მურად ბურჯელალის სამფლობელოში გავლილი სტაჟირება?**

- „ტულონს“ მაღალი დონის მწვრთნელი ჰყავს. ბერნარ ლაპორტი საფრანგეთის ნაკრების თავკაცი იყო. მინდა გალტიეს შევადარო. ფაბიენს შეუძლია არსებული კონტინგენტით მაქსიმუმს მიაღწიოს. მას არ ჰყავს გუნდში ისეთი დონის და იმდენი რაოდენობის ვარსკვლავი, როგორც ლაპორტს. ავიღოთ მაგალითად ქართველი შერკინების ბურჯი მიხეილ ნარიაშვილი, რომლის „მონპელიეში“ ყოფნა და პერსპექტივა, გალტიეს თქმით, იყო ძალიან ბუნდოვანი. მას არ აქვს ისეთი ფიზიკური მონაცემები, რომ ყურადღება მიიქციოს. მაშ, რით დააინტერესა ნარიაშვილმა „მონპელიეს“ თავკაცები? უწინარესად თავისი შრომისმოყვარეობით. მისი მონდომება გალტიემ შეამჩნია, ჯერ ერთხელ ენდო და ათამაშა, მერე მეორედ. მიშამაც თავი არ დაზოგა, ნდობა გაუმართლა და დღეს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნარიაშვილი „მონპელიეში“ თავის პოზიციაზე პირველი ნომერია.

გალტიესგან განსხვავებით, ასე არაფრით არ მოიქცეოდა ბერნარ ლაპორტი. ის მხოლოდ ვარსკვლავებს აღიარებს და გუნდში სხვა დონის მოთამაშის დანახვაც არ უნდა. ამიტომ, ვინც ესპუართა, ანუ სთადარიგო გუნდშია, სასწრაფოდ უნდა დატოვონ „ტულონი“ თუ უნდათ რაგბიში რამეს მიაღწიონ.

**- უნდა ვივარაუდოთ, რომ ლაპორტთან ურთიერთობა არ აეწყო?**

- არა, უბრალოდ „მონპელიესთან“ მარცხის შემდეგ ძალიან გაღიზიანებული იყო და ზედმეტი კითხვებისგან თავს არ ვაწყენდი. თუმცა, ჩემთვის მოულოდნელად, მატჩის ვიდეოანალიზს დამასწრო. საკმაოდ საინტერესო დეტალები მოვინიშნე. ერთი ეპიზოდი მინდა გიამბოთ. პირველი ლელო „მონპელიემ“ გორგოძის გარღვევის შემდეგ გაიტანა. მამუკა „ტულონის“ უკანახაზელმა მაქსიმ მერმოსმა ვერ შეაჩერა. ლაპორტმა ვიდეოანალიზისას სწორედ ეს მომენტი განიხილა, მერმოსს მიუბრუნდა და უთხრა - ამ შემთხვევაში მეტოქე უნდა შეგებოჭა და ის უკან უნდა დაგეხიაო. მოთამაშეებმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი აუტყდათ. თვითონაც ეცინებოდა, მაგრამ თავი შეიკავა. ყველამ კარგად იცის, რომ გორგოძის შეჩერება მხოლოდ სალაპარაკოდაა იოლი.



მარცხნიდან: კონსტანტინე მიქაუტაძე, ზურაბ ჟვანია, ლევან მაისაშვილი და ლევან ჩილაჩავა

**- უკვე თქვით, რომ „ტულონი“ ვარსკვლავების“ გუნდია. იქ სამი ქართველი მორაგბე თამაშობს, რომელთაგან რეგულარულად თამაში მხოლოდ დავით ქუბრიაშვილს უწევს. ლევან ჩილაჩავა და კონსტანტინე მიქაუტაძე კი იშვიათად ჩნდებიან გუნდის შემადგენლობაში. არადა, ისინი ახლა ისეთ ასაკში არიან, რომ მათი უთამაშებლობა არაფრით არ შეიძლება.**

- დიახ, ეს პრობლემა მართლაც არსებობს. მიქაუტაძემ ახლახან ითამაშა „მონ დე მარსანთან“. ძალიან კარგი მორაგბეა. მან უკვე გაახანგრძლივა კონტრაქტი „ტულონთან“. იმავეს სთავაზობენ ჩილაჩავასაც, მაგრამ ლევანს სხვა გუნდებიდანაც აქვს შეთავაზება და ჯერ არ გადაუწყვეტია, როგორ მოიქცეს. დავით ქუბრიაშვილს კი გუნდთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, თუმცა გამორიცხული არ არის, „ტულონი“ მანაც დატოვოს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი


რუდი გეი

# გეი ტორონტოში წავიდა

გუშინ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში შედგა უკვე არაერთგზის დაანონსებული და ყველაზე პროგნოზირებადი ტრეიდი, რომლის მიხედვითაც "მემფის გრიზლისის" ლიდერი **რუდი გეი** "ტორონტო რეპტორზში" გადავიდა.

ამ ფორვარდის გარდა, კანადური კლუბი მიიღებს ცენტრ **ჰამედ ჰადადის**, 2013 წლის დრაფტის მეორე რაუნდში არჩევის უფლებას და გარკვეულ ფულად კომპენსაცია. ამის სანაცვლოდ, "მემფისი" "ტორონტოსგან" გადაიბირებს ფორვარდ **ედ დევისსა** და მცველ **ხოსე კალდერონს**. თუმცა ეს უკანასკნელი "გრიზლისში" დიდი ხნით არ დარჩება - ესპანელ გამთამაშებელს "დეტროიტ პისტონზში" გაუშვებენ. კალდერონის სანაცვლოდ, "მემფისს" ერგება ახალგაზრდა ფორვარდი **ოსტინ დეი** და ვეტერანი თავდამსხმელი **ტაიშონ პრინსი**. სავარაუდოდ, სწორედ ის დაიკავებს "მემფისის" სასტარტოში ადგილს გეის ნაცვლად.

ეს გაცვლა "დეტროიტს" სახელფასო ბიუჯეტისს განტვირთვის საშუალებას მისცემს, მით უმეტეს, რომ წლევანდელ ზაფხულს კონტრაქტი უმთავრდება "პისტონზის" ერთბაშად სამ მოთამაშეს (**მაგეტის, მაქსიელსა** და **ბაინუმს**). მართალია, ტაიშონ პრინსს კონტრაქტით დარჩენილი სამი წლისთვის 22 მილიონი დოლარი ერგება, მაგრამ ის "მემფისისთვის" უფრო "იაფი" მოთამაშეა, ვიდრე გეი, რომელიც ანალოგიური პერიოდისთვის 34 მილიონ დოლარს მიიღებს.

# რონდოს ლოპესი შეცვლის

ერთი ცვლილება მოხდა "ყველა ვარსკვლავის მატჩში" მონაწილე აღმოსავლეთი კონფერენციის შემადგენლობაში. როგორც იცით, ხანგრძლივი დროით გამოვიდა მწყობრიდან "ბოსტონ სელტიქსის" გამთამაშებელი **რაჟონ რონდო**. მის ნაცვლად, NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა** "ოლ სტარზე" მიიწვია "ბრუკლინ ნეტსის" ცენტრი **ბრუკ ლოპესი**.

ლოპესს დებიუტი ექნება "ყველა ვარსკვლავის მატჩში". წელს ეს ცენტრი საშუალოდ მატჩში 18.6 ქულასა და 7.3 მოხსნას აგროვებს.

■ ■ ■

ამასობაში, „ბოსტონ სელტიქსი" რაჟონ რონდოს შემცვლელს ეძებს. როგორც ჩანს, ეს რთული პროცესია, რადგან გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დოკ რივერსმა** „სელტიქსის" მოთამაშეთა განვითარების კოორდინატორს **კეიონ დულინგს** სთხოვა მოედანზე დაბრუნება რონდოს ადგილის დასაკავებლად.

თუმცა დულინგმა უარი განაცხადა მოთამაშის კარიერის განახლებაზე და დაეხმარება რაჟონს ტრავმის შემდეგ აღდგენაში.

■ ■ ■

გუშინ, NBA-მ გამოაცხადა "ყველა ვარსკვლავის უქმეებზე" დებიუტანტებისა და მეორეწლიანების ტრადიციული მატჩის მონაწილეთა სია.

ზედიზედ მეორე წელია, ეს შეხვედრა ახალი ფორმატით გაიმართება. NBA-ის ორი ლეგენდა - **ჩარლზ ბარკლი** და **შაკილ ო'ნილი** საერთო სიიდან სპეციალური "დრაფტის" მეშვეობით აირჩევენ კალათბურთელებს და დააკომპლექტებენ შემადგენლობებს. თუმცა არის ერთი სიახლე შარშანდელთან შედარებით: ბარკლისა და ო'ნილის გუნდებში სასტარტო ხუთეულებს მაყურებელთა შორის ჩატარებული გამოკითხვა გამოავლენს.

**მეორეწლიანები**: კაირი ირვინგი ("კლივლენდი"), კენეტ ფარიდი ("დენვერი"), ბრენდონ ნაითი ("დეტროიტი"), კავაი ლეონარდი ("სან ანტონიო"), ჩენდლერ პარსონსი ("ჰიუსტონი"), კლეი ტომპსონი ("გოლდენ სტეიტი"), ტრისტან ტომპსონი ("კლივლენდი"), ნიკოლა ვუჩევიჩი ("ორლანდო"), კემბა უოკერი ("შარლოტი").

**ახალბედები**: ალექსეი შვედი ("მინესოტა"), დემიან ლილარდი ("პორტლენდი"), ენტონი დევისი ("ნიუ ორლეანი"), ჰარისონ ბარნსი ("გოლდენ სტეიტი"), ანდრე დრამონდი ("დეტროიტი"), მაიკლ კიდ-გილკრისტი ("შარლოტი"), ბრედლი ბილი ("ვაშინგტონი"), დიონ უეიტერსი ("კლივლენდი"), ტაილერ ზელერი ("კლივლენდი").


ბრუკ ლოპესი

# კობის ახალი რეკორდი

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** მორიგი რეკორდი დაამყარა. ამჯერად, მცველი გახდა რეკორდსმენი შედეგიანი გადაცემების რაოდენობით იმ მოთამაშეებს შორის, რომლებსაც კარიერაში გადალახული აქვთ 30000-ქულიანი ზღვარი. კობიმ "ლეიკერსის" კიდევ ერთ ლეგენდას **ქარიმ აბდულ-ჯაბარს** გაუსწრო.

ბრაიანტისა და აბდულ-ჯაბარის გარდა, NBA-ში 30000-ქულიანი ზღვრისთვის მიუღწევიათ **კარლ მელოუნს, უილტი ჩემბერლენსა** და **მაიკლ ჯორდანს**.

■ ■ ■

ამასობაში, "ლეიკერსმა" **ჯორჯ ჰილის** ტრავმის შემდეგ თავისუფალი აგენტის გაფორმების უფლება მიიღო. ეს კალათბურთელი სეზონის ბოლომდე დაემშვიდობა აქტიურ სპორტს და ახლა, NBA-მ დააკმაყოფილა კალიფორნიელთა თხოვნა, რომ მათთვის დაეშვათ გამონაკლისი 1.78 მილიონი დოლარის ოდენობით. ამ თანხით კალიფორნიელებს შეეძლებათ როგორც თავისუფალი აგენტის აყვანა, ასევე გაცვლაში მონაწილეობა.

შეგახსენებთ, რომ ადრე "ლეიკერსში" ტრეიდის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი იყო ესპანელი ფორვარდი **პაუ გასოლი**.

**ფილადელფია-ვაშინგტონი 92:84**

**25:28, 23:11, 25:24, 19:21**

**ფ**: ჰოლიდეი (21+6 პასი+4 ჩაჭრა), ნ. იანგი (18), ტ. იანგი (14+8 მოხსნა), ალენი (14+6 მოხსნა), ჰოიესი (12+11 მოხსნა+4 დაფარება).

**ვ**: ნენე (16+8 მოხსნა), ოკაფორი (15+17 მოხსნა), უებსტერი (15), არიზა (12+5 მოხსნა).

**ინდიანა-დეტროიტი 98:79**

**29:23, 25:13, 16:20, 28:23**

**ი**: ჰიბერტი (18+11 მოხსნა), ჰილი (15), ჰენსბრო (14+11 მოხსნა), უესტი (14+5 მოხსნა), სტივენსონი (12+11 მოხსნა+5 პასი), ჯორჯი (10+6 მოხსნა).

**დ**: მონრო (18+9 მოხსნა), სტაკი (14), ბაინუმი (13), დრამონდი (4+14 მოხსნა+3 დაფარება).

**ბოსტონი-საკრამენტო 99:81**

**22:24, 37:14, 21:22, 19:21**

**ბ**: პირსი (16+10 მოხსნა), გარნეტი (13+9 მოხსნა+5 პასი), ბასი (12+3 ჩაჭრა), გრინი (12), ტერი (12), ბრედლი (11+5 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ს**: ტ. ევანსი (19+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), კაზინსი (13+6 მოხსნა), რობინსონი (11).

**ნიუ იორკი-ორლანდო 113:97**

**31:31, 20:20, 28:22, 34:24**

**ნ-ი**: ჩენდლერი (21+7 მოხსნა+5 პასი), ენტონი (20+7 მოხსნა+5 პასი), ფელტონი (15+9 პასი), სტაუდმაიერი (14), სმიტი (11+5 მოხსნა), პრიჯიონი (11).

**ო**: რედიკი (29), ნელსონი (21+9 პასი), ვუჩევიჩი (12+11 მოხსნა).

**ატლანტა-ტორონტო 93:92**

**20:23, 25:32, 30:14, 18:23**

**ა**: ჰორფორდი (22+10 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), სმიტი (20+11 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), კორვერი (17+6 მოხსნა).

**ტ**: დეროზანი (23), ლუკასი (19), ანდერსონი (15), ლოური (14+10 მოხსნა+5 პასი), გრეი (8+11 მოხსნა), ჯონსონი (6+14 მოხსნა+4 დაფარება).

**ბრუკლინი-მაიამი 85:105**

**20:30, 29:19, 14:36, 22:20**

**ბ**: ლოპესი (21+7 მოხსნა+3 დაფარება), ჯონსონი (16+6 პასი), ბლეტჩი (12+6 მოხსნა).

**მ**: ჯეიმსი (24+9 მოხსნა+7 პასი), უეიდი (21), ბოში (16), ჩელმერსი (11+3 ჩაჭრა).

**მილუოკი-ჩიკაგო 88:104**

**19:23, 18:32, 31:24, 20:25**

**მ**: ილიასოვა (18+7 მოხსნა), ჯენინგსი (15+8 პასი), დალემბერი (14+13 მოხსნა+4 დაფარება), ელისი (12), დანლივი (11+5 მოხსნა).

**ჩ**: რობინსონი (24+3 ჩაჭრა), ბატლერი (18+6 მოხსნა), გიბსონი (14+9 მოხსნა), დენგი (12+13 მოხსნა+5 პასი), ნოა (12+12 მოხსნა), ჰემილტონი (10).

**მინესოტა-კლიპერსი 90:96**

**25:23, 23:29, 23:24, 19:20**

**მ**: პეკოვიჩი (17+12 მოხსნა), კირილენკო (14), ბარეა (14), შვედი (12).

**კ**: გრიფინი (26+13 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბატლერი (19+5 მოხსნა), კროუფორდი (17), ჯორდანი (16+12 მოხსნა), ბლედსოუ (10+10 პასი+6 ჩაჭრა).

**სან ანტონიო-შარლოტი 102:78**

**25:23, 24:14, 25:23, 28:18**

**ს-ა**: პარკერი (22+7 პასი+3 ჩაჭრა), ლეონარდი (18+5 მოხსნა), გრინი (17+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), სპლიტერი (15).

**შ**: სეშენსი (20+3 ჩაჭრა), უოკერი (16+6 მოხსნა), გორდონი (11).

**დენვერი-ჰიუსტონი 118:110**

**29:29, 27:28, 27:29, 35:24**

**დ**: გალინარი (27+5 მოხსნა+4 დაფარება), ფარიდი (19+9 მოხსნა), ლოუსონი (16), იგუოდალა (15+5 მოხსნა+6 პასი), მილერი (12+5 პასი).

**ჰ**: ლინი (22+5 პასი), ჰარდენი (21+5 მოხსნა), პარსონსი (21), დაგლასი (11), აშიქი (10+18 მოხსნა), პატერსონი (10+5 მოხსნა).

**იუტა-ნიუ ორლეანი 104:99**

**19:29, 32:18, 27:28, 26:24**

**ი**: მილსეპი (25+10 მოხსნა), ჯეფერსონი (22+5 მოხსნა), ფეივორსი (15+6 მოხსნა), ფოიე (14+8 პასი), მარვ. უილიამსი (11+7 მოხსნა).

**ნ-ო**: ვასკესი (17+13 პასი), ანდერსონი (16+6 მოხსნა), ლოპესი (15+9 მოხსნა+4 დაფარება), დევისი (14+7 მოხსნა), სმიტი (10), ამინუ (3+13 მოხსნა).

**ფინიქსი-ლეიკერსი 92:86**

**26:22, 15:19, 22:32, 29:13**

**ფ**: ბიზლი (27+6 მოხსნა+5 ჩაჭრა), გორტატი (14+12 მოხსნა), სკოლა (12), დრაგიჩი (11+8 პასი+3 ჩაჭრა), დადლი (11).

**ლ**: ბრაიანტი (17+5 მოხსნა+9 პასი), უორლდ პისი (15+5 მოხსნა), გასოლი (14+5 მოხსნა), ჯეიმისონი (13), ნეში (11), ჰოვარდი (9+14 მოხსნა).



კობი ბრაიანტი

# როუზი სრულფასოვანია

## მოთამაშეთა პროფკავშირში წმენდა დაიწყო


ბილი ჰანტერი

"ჩიკაგო ბულზის" გამთამაშებელმა **დერიკ როუზმა** კონტაქტურ ვარჯიშებში მონაწილეობის უფლება მიიღო. გუშინ კალათბურთელი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მეცადინეობდა პარტნიორებთან ერთად.

"ბულზის" ლიდერი მუხლის ჯვარედინი მყესების განყვეტის შემდეგ აღდგენით კურსს გადის. მან ოპერაცია 2012 წლის 12 მაისს გაიკეთა. ვარაუდობენ, რომ როუზი მოედანს "ყველა ვარსკვლავის მატჩის" შემდეგ დაუბრუნდება, რომელიც 17 თებერვალს უნდა გაიმართოს.

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პროფკავშირების აღმასრულებელმა დირექტორმა **ბილი ჰანტერმა** საკუთარი ორგანიზაციიდან დაითხოვა თავისი ქალიშვილი, აგრეთვე საცოლე.

გარდა ამისა, ჰანტერმა განაცხადა, რომ პროფკავშირი წყვეტს თანამშრომლობას ფირმა Prim Capital-თან, რომელშიც მისი ვაჟი მუშაობს.

შეგახსენებთ, რომ დამოუკიდებელმა იურიდიულმა კანტორამ, რომელიც მოთამაშეთა პროფკავშირის მოღვაწეობას იკვლევს, მკაცრად გააკრიტიკა საკონტრაქტო საკითხები და ორგანიზაციის ხარჯები ჰანტერის მმართველობის პერიოდში. გავლენიანმა აგენტმა **არნ ტელემმა** მოუწოდა მოთამაშეებს განიხილონ 70 წლის ფუნქციონერის გათავისუფლების საკითხი.

# მესინამ თურქეთი ჩაიბარა

მოსკოვის ცსკა-ს მთავარი მწვრთნელი **ეტორე მესინა** თურქეთის ნაკრებს ჩაუდგება სათავეში. როგორც იტალიური პრესა წერს, მოსაგვარებელი დარჩა არმიული კლუბის ხელმძღვანელობასთან პოსტების შეთავსების საკითხი. იტალიელი სპეციალისტი თურქეთის ნაკრებს 2013 წლის ევრობასკეტზე უხელმძღვანელებს. საინტერესოა, რომ კონტინენტის პირველობაზე თურქეთის ერთ-ერთი მეტოქე რუსეთის ნაკრები იქნება.

მესინა, პირველ რიგში, ცნობილია, როგორც საკლუბო მწვრთნელი, თუმცა რამდენიმე წელი იმუშავა იტალიის ნაკრებთან. ამ გუნდთან ყველაზე დიდ წარმატებას ევროპის 1997 წლის ჩემპიონატზე მიაღწია, როცა იტალიელებმა ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

ნაკრებში მუშაობის შემდეგ, მესინა „ვირტუსში" დაბრუნდა და ორი ბრწყინვალე დუბლი შეასრულა: 1998 და 2001 წლებში ბოლონიურმა კლუბმა იტალიის ჩემპიონატი და ევროლიგა მოიგო.

2002-05 წლებში მესინა „ბენეტონს" ავარჯიშებდა, მაგრამ იქ იტალიის თასის მოგებაზე შორს არ წასულა, შემდეგ კი იყო წარმატებული ოთხი წელი მოსკოვის ცსკა-ში, როცა არმიული კლუბი ზედიზედ ოთხჯერ გავიდა ევროლიგის ფინალში და ორჯერ მოიგო საპატიო პრიზი.

არმიელებთან გამოთხოვების შემდეგ, იტალიელი „რეალში" გაემგზავრა, მაგრამ იქ, თავისი აღიარებით, კარიერა არ აეწყო. ერთი წელი მესინამ NBA-ში იმუშავა „ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელის **მაიკ ბრაუნის** ასისტენტის რანგში, ამ სეზონის წინ კი ისევ მოსკოვის ცსკა-ში დაბრუნდა.


ეტორე მესინა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი. დევისის თასი


ნოვაკ ჯოკოვიჩი

# გრაფიკი შედგენილია

დღეს, მამაკაცებს შორის მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატის - დევისის თასის მერვედფინალი იწყება. გუშინ გაიმართა ტრადიციული წილისყრა და დადგინდა ჩოგბურთელთა კორტზე გასვლის გრაფიკი. კანადაში წილისყრა გვიან შედგა, რის გამოც, მხოლოდ გუნდების შემადგენლობების გაცნობით უნდა დავკმაყოფილდეთ.

**შვეიცარია–ჩეხეთი**

სტანისლას ვავრინკა-ლუკაშ როსოლი
ჰენრი ლააკსონენი-ტომაშ ბერდიხი
ჩიუდინელი/ვავრინკა-მინარი/ვესელი
სტანისლას ვავრინკა-ტომაშ ბერდიხი
ჰენრი ლააკსონენი-ლუკაშ როსოლი

**ყაზახეთი–ავსტრია**

ანდრეი გოლუბევი-ანდრეას ჰაიდერ მაურერი
ევგენი კოროლიოვი-იურგენ მელცერი
გოლუბევი/შჩუკინი-ნოული/პეია
ანდრეი გოლუბევი-იურგენ მელცერი
ევგენი კოროლიოვი-ანდრეას ჰაიდერ მაურერი

**არგენტინა–გერმანია**

კარლოს ბერლოკი-ფილიპ კოლშრაიბერი
ხუან მონაკო-ფლორიან მაიერი
ნალბანდიანი/სებალიოსი-კასი/კოლშრაიბერი
ხუან მონაკო-ფილიპ კოლშრაიბერი
კარლოს ბერლოკი-ფლორიან მაიერი

**საფრანგეთი–ისრაელი**

ჟო-ვილფრიდ ცონგა-ამირ ვაინტრაუბი
რიშარ გასკე-დუდი სელა
ბენეტო/ლოდრა-ერლიხი/სელა
ჟო-ვილფრიდ ცონგა-დუდი სელა
რიშარ გასკე-ამირ ვაინტრაუბი

**ბელგია–სერბეთი**

დავიდ გოფენი-ვიქტორ ტროიცკი
ოლივიე როხუსი-ნოვაკ ჯოკოვიჩი
ბემელმანსი/დარცისი-ტროიცკი/ზიმონჯიჩი
დავიდ გოფენი-ნოვაკ ჯოკოვიჩი
ოლივიე როხუსი-ვიქტორ ტროიცკი

**იტალია–ხორვატია**

ფაბიო ფონინი-მარიან ჩილიჩი
ანდრეას სეპი-ივან დოდიგი
ბოლელი/ლორენცი-მექტიჩი/პავიჩი
ანდრეას სეპი-მარიან ჩილიჩი
ფაბიო ფონინი-ივან დოდიგი

**აშშ–ბრაზილია**

სემ კუერი-ტომაშ ბელუჩი
ჯონ ისნერი-ტიაგუ ალვეში
ბ. ბრაიანი/მ. ბრაიანი-მელო/სოარეში
ჯონ ისნერი-ტომაშ ბელუჩი
სემ კუერი-ტიაგუ ალვეში

**კანადა-ესპანეთი**

**კანადა**: მილოშ რაონიჩი, ვაჩეკ პოსპიშილი, ფრანკ დანჩევიჩი, დანიელ ნესტორი;
**ესპანეთი**: მარსელ გრანოლერსი, გილერმო გარსია-ლოპესი, ალბერტ რამოსი, მარკ ლოპესი.

ჩოგბურთი

# ნადალი და ნალბანდიანი დაძმობილდნენ

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, 26 წლის ესპანელი **რაფაელ ნადალი** დიდხნიანი შესვენების შემდეგ უბრუნდება პროფესიულ ტურს. მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი მონაწილეობას მიიღებს ჩილეს ქალაქ ვინია დელ მარის ტურნირში, რომელიც 4 თებერვალს დაიწყება.

ამის შემდეგ, ნადალი ბრაზილიაში გადაინაცვლებს და სან პაულუს ტურნირში ჩაებმება. იქ რაფას როგორც ერთეულებში, ასევე წყვილთა თანრიგში აქვს განზრახული თამაში. საინტერესოა, რომ ესპანელმა მეწყვილედ ცნობილი არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანი** აირჩია, რომელიც თავის პირველ ოფიციალურ ტურნირს ჩაატარებს 2013 წელს.

სხვათა შორის, ნადალი ვინია დელ მარშიც ითამაშებს წყვილებში და იქაც არგენტინელი პარტნიორი ეყოლება - **ხუან მონაკო**.

■ ■ ■

ჩოგნების მწარმოებელი კომპანია Babolat-ის შეფმა **ერიკ ბაბოლამ** განაცხადა იმის შესახებ, რომ რაფაელ ნადალმა ჩოგანი შეიცვალა და 2013 წელს ითამაშებს მოდელით, რომლითაც მოქრილი დარტყმის შესრულების უფრო მეტი საშუალება ექნება.

„ტონი ნადალმა რაფას უთხრა: „თუ უკეთ თამაში გსურს, რისკზე წასვლა მოგიწევს“. რაფაელი ასეთ შემთხვევებში პასუხობს: „არ გეთანხმები, მაგრამ მოდით ვცადოთ“.

ახალი ჩოგანი ბურთს უფრო მეტ ბრუნვას აძლევს. რაფას დარტყმები სწორედ ამით არის გამორჩეული, მაგრამ ახლა, მას უფრო მეტი ეფექტის მიღება სურს“, - ამბობს ბაბოლა.


ნალბანდიანი და ნადალი

# ისევ გული აწუხებს


მერდი ფიში

ნადალისგან განსხვავებით, ისევ გადადო ATP-ის ტურში დაბრუნება 31 წლის ამერიკელმა **მერდი ფიშმა**. შეგახსენებთ, რომ 2012 წლის გაზაფხულზე მერდიმ გულზე ოპერაცია გადაიტანა, რის შემდეგაც ერთ-ორ ტურნირში შეძლო გამოსვლა. ამერიკის ღია პირველობის შემდეგ, ფიშმა დროებით კარიერის შეწყვეტის შესახებ გამოაცხადა და მას შემდეგ, ჯერჯერობით, არც ერთი ოფიციალური მატჩი არ გაუმართავს.

ბოლო დროს, ფიშმა რამდენჯერმე გადადო თავისი დაბრუნების თარიღი, თან აღნიშნავდა, რომ ამას გულის ავადმყოფობასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა.

მერდი ფიშს სან ხოსეს ტურნირში მონაწილეობისთვის ჰქონდა შეტანილი განაცხადი, მაგრამ უარი თქვა იქ გამოსვლაზე.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# 32 გუნდი არ იქნება

ჰოკეის ეროვნული ლიგის ვიცე-პრეზიდენტმა **ბილ დეილმა** განაცხადა, რომ სიმართლეს არ შეესაბამება მოთამაშეთა პროფკავშირების ყოფილი თავმჯდომარე **პოლ კელის** სიტყვები ლიგის 32 გუნდამდე გაზრდის შესახებ.

*“არ არსებობს გეგმა ლიგის 32 გუნდამდე გაფართოების შესახებ,* - ამბობს დეილი TNS-ისთვის მიცემულ კომენტარში. - *ჩვენ შეგვეძლო განგვეხილა ეს იდეა, მაგრამ დღეს მზად არ ვართ ამის გასაკეთებლად. მინდა აღვნიშნო, რომ ნებისმიერი სპორტული ლიგა ისურვებდა გაფართოებას, მაგრამ ამისთვის აუცილებელია შესაბამისი გარემოებები”.*

■ ■ ■

რეგულარული ჩემპიონატის გუშინდელი სათამაშო დღის შემდეგ, ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ პირველ ვარსკვლავად დაასახელა „ვანკუვერის“ მეკარე **რობერტო ლუონგო**, რომელმაც „კოლორადოს“ წინააღმდეგ 24 დარტყმა მოიგერია და „შათაუტი“ შეასრულა.

მეორე ვარსკვლავი გახდა „ოტავას“ მეკარე **კრეიგ ანდერსონი**, რომელიც „მონრეალთან“ მატჩში 31 დარტყმას გადაელობა. რაც შეეხება მესამე ვარსკვლავს, ეს სტატუსი ერგო ასევე მეკარეს - „ედმონტონის“ კარის დარაჯს **დევან დუბნიკს** -მან „ფინიქსთან“ მატჩში 27 სეივი განახორციელა.

**მინესოტა–ჩიკაგო 3:2 (ბ)**

**1:2, 1:0, 0:0, 0:0**

**გოლები**: 1:0 კულენი-1 (სეტოგუჩი-2, გრანლუნდი-2), 1:1 შოუ-1 (ბიკელი-3, პ. კეინი-8), 1:2 ტეივზი-4 (მარიან ჰოსა-4), 2:2 კლატურბეკი-1 (გიბერტი-4).

**ბულიტები გაიტანეს**: პარიზე (მინესოტა), ტეივზი (ჩიკაგო), კულენი (მინესოტა).

**ოტავა–მონრეალი 5:1**

**1:1, 3:0, 1:0**

**გოლები**: 0:1 პლეკანეცი-4 (მარკოვი-4, დიასი-8), 1:1 ო'ბრაიენი-3 (ე. კარლსონი-4, კონდრა-2), 2:1 ალფრედსონი-1 (ვირჩიოკი-3, ტარისი-3), 3:1 ზიბანეჯადი-1 (გრინინგი-2, ბენუა-2), 4:1 ფილიპსი-2 (ზ. სმიტი-2, გრინინგი-3), 5:1 კ. ნილი-2 (ბენუა-3, ზ. სმიტი-3).

**ფინიქსი–ედმონტონი 1:2 (ო)**

**0:1, 0:0, 1:0, 0:1**

**გოლები**: 0:1 პეტრელი-1 (რ. სმიტი-1, სემ განიე-5), 1:1 ნ. ჯონსონი-2 (მოსი-3, ვრბატა-5), 1:2 იაკუპოვი-4 (რაიან უიტნი-3, ტ. ჰოლი-7).

**ვანკუვერი–კოლორადო 3:0**

**1:0, 1:0, 1:0**

**გოლები**: 1:0 გარისონი-1, 2:0 ლაპიერი-1, 3:0 კასიანი-5 (ჰამჰუისი-4, ედლერი-4).



რობერტო ლუონგო

კრივი

# კლიჩკოს თხოვნა დააკმაყოფილეს


ვლადიმერ კლიჩკო

მსოფლიოს საკრივო ასოციაციამ (WBA) უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოს** სპეციალური უფლება მიანიჭა სუპერმძიმე წონაში ტიტულის დასაცავად. შეგახსენებთ, რომ კლიჩკოს საჩემპიონო ქამრის აუცილებელი დაცვა უწევს WBA-ის “რეგულარულ” ჩემპიონთან, რუს **ალექსანდრ პოვეტკინთან**.

WBA-ის მითითებით, ეს შეხვედრა თებერვლამდე უნდა გამართულიყო, მაგრამ უკრაინელმა თარილის გადაწევა ითხოვა და მსოფლიოს საკრივო ასოციაცია ამ თხოვნას დათანხმდა, ოღონდ გარკვეული პირობები წაუყენა უკრაინელ ჩემპიონს. კერძოდ, რუსულმა და უკრაინულმა მხარეებმა 28 თებერვლამდე უნდა მოილაპარაკონ, თავად ბრძოლა კი არა უგვიანეს 31 ივლისისა უნდა გაიმართოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, 18 მარტს ჩატარდება ბრძოლის ორგანიზებაზე სპეციალური აუქციონი.

ამ ბრძოლაში ჰონორარი შემდეგნაირად განაწილდება: 75 პროცენტი – კლიჩკო, 25 პროცენტი – პოვეტკინი. მაგრამ თუ უმცროსი კლიჩკო დამარცხდება, ჰონორარის შეფარდება 50/50-ზე იქნება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1


ბატონი და პერესი ახალ მაკლარენთან

# ესეც ახალი მაკლარენი

„ლოტუსის" შემდეგ მეორე გუნდი, რომელმაც 2013 წლისთვის განკუთვნილი ბოლიდი წარადგინა, ბრიტანული „მაკლარენია". ამ საჯინიბომ Youtube-ზე მოაწყო ახალი მანქანის პრეზენტაციის პირდაპირი ტრანსლაცია.

სანამ საქმე ახალი ბოლიდის წარდგენამდე მივიდოდა, გუნდმა ისტორიული მანქანების შთამბეჭდავი ალლუმი მოაწყო. მათ შემდეგ, დარბაზში გამოჩნდნენ **ჯენსონ ბატონი** - McLaren P1-ის პროტოტიპით და **სერხიო პერესი** - სპორტული MP4-12C-ით.

ცოტა ხანში, პილოტებმა დამცავი შალითა გადახსნეს MP4-28-ს და ჟურნალისტები და პრეზენტაციის სტუმრები ახალ მანქანას აპლოდისმენტებით შეხვდნენ. მანქანა ტრადიციულ ფერებშია გადაწყვეტილი და შარშანდელი MP4-27-ის მემკვიდრე გახდა. ისინი თითქოს ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ ტესტების დაწყებასთან ერთად, ახალი ბოლიდი უფრო მეტ სიახლეს შეიძენს.

მანქანის პრეზენტაციის ცერემონიაზე „მაკლარენის" შეფმა **მარტინ უიტმარშმა** განაცხადა, რომ ახალ სეზონში გუნდის მიზანი - ჩემპიონატში გამარჯვებაა...

*„ახალი მანქანის პრეზენტაცია - ყოველთვის ამაღელვებელი მომენტია. დღევანდელი ალლუმი ჩვენი რამდენიმე მანქანის მონაწილეობით, შესანიშნავი დასაწყისი გახდა 50-წლიანი იუბილეს აღსანიშნავად და 2013 წლის სეზონის გასახსნელად, მაგრამ, ამ აქციამ აგრეთვე შეგვახსენა ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელსაც გრძნობს „მაკლარენის" ტექნოლოგიური ცენტრის ყველა თანამშრომელი. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ბრიუს მაკლარენის, ტედი მაიერისა და რონ დენსის დაწყებული საქმე.*

*სავსებით ლოგიკურია, რომ წარსულის მანქანების ხმაურს „მაკლარენის" თანამედროვე ტექნოლოგიურ ცენტრში კარგი ჟღერადობა აქვს. ყოველთვის ვგრძნობდით კავშირს საინიციატივო ჯგუფთან, რომელმაც 1963 წლის შემოდგომაზე დააარსა კომპანია - Bruce McLaren Motor Racing Ltd. ისევე როგორც მაშინ ბრიუსი და მისი ყველაზე ახლო მეგობარი, ჩვენც დარწმუნებულები ვართ, რომ რისკი გამარჯვებამდე მიგვიყვანს - ასეთია ამ ორგანიზაციის ფილოსოფია.*

*რა თქმა უნდა, 2013 წელს ჩვენ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ბატონთან, პერესთან და ამ ფანტასტიკურად ლამაზ მანქანასთან ერთად, ჩვენ კარგად ვართ მომზადებული კარს მომდგარი სეზონისთვის. ჯენსონი ახლა საუკეთესო ფორმაშია, ის - ყველაზე გამოცდილი პილოტია დღევანდელ ფორმულა 1-ში და შეუძლია ამ გამოცდილების ეფექტურად გამოყენება, გამოირჩევა რბოლის ხედვის უნიკალური ნიჭით და შესანიშნავი ტემპით, ნამდვილი პროფესიონალია და ყველაფერს გააკეთებს, რათა ჩვენი გუნდი წინ წაიყვანოს მთელი სეზონის განმავლობაში.*

*სერხიო ჩვენს გუნდს შემოუერთდა სენსაციური 2012 წლის შემდეგ და მაშინვე დაამტკიცა თავისი გონიერება, მოკრძალებული ხასიათი და შრომისმოყვარეობა. მან იცის, როგორ აიცილოს თავიდან შეცდომები. და რაც მთავარია, ძალიან სწრაფია. რა თქმა უნდა, მას კიდევ ბევრი რამ აქვს სასწავლი და დრო დასჭირდება ჩვენს გუნდში ადაპტირებისთვის, მაგრამ სერხიოს ესმის, რომ გუნდი მასზე არ მოახდენს ზედმეტ ზეწოლას.*

*წინ საინტერესო პერიოდი გველის. მინდა, რომ ჩვენს საიუბილეო 50-ე სეზონში კიდევ ერთხელ დავამტკიცოთ, რომ Vodafone McLaren Mercedes - საუკეთესო გუნდია მსოფლიოში",* - განაცხადა პრეზენტაციაზე მარტინ უიტმარშმა.

# გადაწყდა: გერმანია ნიურბურგრინგზე

## მარუსიამ მეორე პილოტი იპოვა?

ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა ბერნი ექლსტოუნმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 2013 წელს გერმანიის გრანპრი „ნიურბურგრინგის" ტრასაზე გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ამ რბოლის ჩატარების თარიღი 7 ივნისია.

*„ძალიან ვაფასებ „ნიურბურგრინგსა" და მის ისტორიას. დღესაც კი ეს ტრეკი დიდ მოთხოვნებს უყენებს პილოტებსა და გუნდს. ყოველთვის ვუჭერდი მხარს „ნიურბურგრინგზე" ფორმულა 1-ის რბოლის გამართვას, რათა მხარი დამეჭირა ამ ისტორიული ავტოდრომისთვის",* - განაცხადა ექლსტოუნმა.

■ ■ ■

ბრაზილიური TotalRace ამტკიცებს, რომ 2013 წლისთვის რუსული „მარუსიას" მეორე პილოტი შეიძლება გახდეს **ლუიშ რაზია**. დაუდასტურებელი ინფორმაციის თანახმად, GP2-ის სერიის 23 წლის ვიცე-ჩემპიონმა უკვე გააფორმა კონტრაქტი საჯინიბოსთან და იქ კიდევ ერთ დებიუტანტს **მაქს ჩილტონს** შეუერთდება.



რაზიამ ბოლო წლები GP2-ის სერიაში გაატარა და იქ Rapax-ის, Caterham-ისა და Arden-ის რიგებში გამოდიოდა. გასულ წელს მან ოთხ რბოლაში მიაღწია გამარჯვებას და კიდევ ხუთჯერ პოდიუმზე ავიდა, რამაც ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოუტანა.

გარდა ამისა, რაზიამ რამდენჯერმე მონაწილეობა მიიღო ფორმულა 1-ის ტესტებში - „მარუსიას", „ლოტუსისა" და „ტორო როსოს" ბოლიდების საჭე მოსინჯა, 2011 წელს კი „ლოტუსის" სარეზერვო პილოტის როლს ასრულებდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| მიდტიულანდი-რანდერსი | 3:0 |
| სტრიომსგოდსეტი-გიოტებორგი | 0:3 |
| კაპოშვარი-მარიბორი | 1:3 |
| ჟრინსკი-დინამო (ზ) | 1:1 |
| ასტრა-ოსიეკი | 2:0 |
| ლეგია-ლეჩნა | 4:0 |
| შახტარი-ცსკა | 2:0 |
| შიმურძი-პეტროლული | 1:2 |
| აიაქსი (ქ)-ვიკინგი | 3:2 |
| ვიიტორული-სპლიტი | 2:2 |
| სკენდერბეუ-მატერსბურგი | 0:4 |
| ოლიმპია-რუსენბორგი | 0:0 პენ. 7:8 |
| რაპიდი-სილკებორგი | 2:1 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ლესტერი-ვულვზი | 2:1 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| ატლეტიკო-სევილია | 2:1 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ვიტესი-აიაქსი | 0:4 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფრეამუნდე-ლეიქსოეში | 0:2 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩები** | |
| კერკირა-ლევადია | 0:1 (1:2) |
| პანთრაკიკოსი-აპოლონი | 4:1 (1:1) |
| **თურქეთის თასი** | |
| ესქისეჰირი-ტრაბზონი | 1:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ჟალგირისი-ალბა | 92:56 |
| ბეშიქთაში-მაკაბი | 55:77 |
| ბარსელონა-მონტეპასკი | 85:66 |
| ოლიმპიაკოსი-ფენერბაჰჩე | 82:71 |
| რეალი-ცსკა | 86:78 (ო) |

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ავსტრია** | |
| ალბა-დორნბირნი | 0:1 |
| ვილახი-გრაცი | 0:1 |
| ზნოიმო-ზალცბურგი | 3:2 |
| ინსბრუკი-ოლიმპია | 4:3 |
| ლინცი-კლაგენფიურტი | 4:1 |
| **ნორვეგია** | |
| სტიორნენი-სტავანგერი | 3:2 |
| ლორენსკოგი-რუსენბორგი | 5:3 |
| სტორჰამარი-ვოლერენგა | 1:4 |
| ფრისკ ასკერი-ტიონსბერგი | 7:4 |
| ლილეჰამერი-სპარტა | 4:0 |
| **ფინეთი** | |
| ტაპარა-იოკერიტი | 2:3 |
| ტპს-საიპა | 3:1 |
| ჰიფკ-ლუკო | 3:2 |
| იუვიასკიულა-კერპეტი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | 4:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-როგლე | 7:1 |
| ბრიუნესი-ფერიესტადი | 1:7 |
| ლინჩოპინგი-ტიმრა | 0:4 |
| მოდო-ლულეო | 2:1 (ო) |
| ჰვ71-ფრიოლუნდა | 2:3 |
| შელეფტეო-ვექსიო | 2:0 |
| **ჩოგბურთი** | |
| **WTA. პარიზი** | |
| ციბულკოვა-**ბერტენსი** | 5:7, 4:6 |
| **სუარეს ნავარო**-ზაკოპალოვა | 6:4, 6:3 |
| კორნე-**საფაროვა** | 2:6, 6:4, 2:6 |
| **ერანი**-რიბარიკოვა | 6:0, 6:0 |
| **მლადენოვიჩი**-ვიკმაიერი | 6:4, 6:4 |
| **WTA. პატაია** | |
| ივანოვიჩი-**მორიტა** | 3:6, 7:5, 3:6 |
| **ვესნინა**-დანილიდუ | 6:2, 5:7, 6:2 |
| პუჩკოვა-**ჰანტუხოვა** | 1:6, 6:3, 0:6 |
| **ერაკოვიჩი**-ვონგტეანჩაი | 6:3, 7:6 |
| უოტსონი-**სევასტოვა** | 6:7, 6:4, 2:6 |
| პანოვა-**ლისიცკი** | 5:7, 2:6 |
| კუმხუნი-**კირილენკო** | 7:5, 2:6, 2:6 |
| როდიონოვა-**კირსტეა** | 0:6, 6:7 |
| **მორიტა**-დატე | 4:6, 6:4, 6:1 |
| **ვესნინა**-იოჰანსონი | 6:2, 3:6, 6:1 |

TV პროგრამა

**1 თებერვალი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. კორინთიანსი-მოჟი მირიმი.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. ქუინზ პარკი-მანჩესტერ სიტი.
**14:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. სანტოსი-ბოტაფოგო.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. არსენალი-ლივერპული.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
**19:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. პალმეირასი-სან ბერნარდო.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**23:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
**23:30** გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ვერდერი-ჰანოვერი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. მირასოლი-კორინთიანსი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-მემფისი.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ნიურნბერგი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ნორთჰემპტონი-კასტრი.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**20:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ლეიკერსი. 1981-82 წლები.
**21:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:30** NBA ACTION.
**23:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. VI ტური. კახა ლაბორალი-ხიმკი (LIVE).
**01:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-მემფისი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. ჩეხეთი-ესპანეთი.
**15:00** სპორტ-NEWS.
**15:30** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**16:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. შვეიცარია-ჩეხეთი (LIVE).
**23:30** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. დანია-ესპანეთი.

ამერიკული ფეხბურთი

# ფეხბურთელი ბეიონსე

როგორც ცნობილია, წლევანდელ სუპერბოულზე იმღერებს ცნობილი ამერიკელი შემსრულებელი **ბეიონსე**. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ვარსკვლავის რეპუტაცია სერიოზულად შეილახა - **ბარაკ ობამას** ინაუგურაციაზე გამოსვლისას, მომღერალს უსაყვედურეს იმის გამო, რომ ფონოგრამით მღეროდა, შემდეგ კი ჰიმნის შესრულების ვიდეორგოლი საერთოდ პაროდიად აქციეს.

ფანების წინაშე რეაბილიტაციისთვის, ბეიონსემ ორიგინალურ ხერხს მიმართა - ფოტოზე ამერიკული ფეხბურთის მოთამაშედ წარმოგვიდგა. ამ სურათით ის თითქოს ითხოვს, კიდევ ერთხელ მიეცეს ვოკალური ნიჭის გამოვლენის საშუალება.

ცნობისთვის, სუპერბოულზე გამოსვლა საპატიოა ნებისმიერი ამერიკელი მუსიკოსისთვის და კარიერის მწვერვალადაც კი მიიჩნევა. გასულ წელს, სუპერბოულზე ლეგენდარულმა **მადონამ** იმღერა.


ბეიონსე ფეხბურთელის ფორმაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიციგურაოთ?! მოედანი არ არის?

შეკითხვით დავიწყოთ: რომელია საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ყველაზე მაღალი მწვერვალი? თუ მყინვარწვერი გგონიათ, ცდებით: ყაზბეგის მთის უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან 5033.8 მეტრზეა. სვანეთის მთა შხარა კი 5068 მეტრის სიმაღლეზეა.

შხარაცა და მყინვარწვერიც ისევე დახედავდნენ ხორვატიის უმაღლეს მთას, როგორც საბონისი - მარადონას. ხორვატიაში მდებარე მწვერვალი დინარა ზღვის დონიდან 1831 მეტრს აღწევს.

ახლა თქვენს ძახილისნიშნიან კითხვას მოვისმენ: ან მწვერვალები და სპორტული გაზეთი რა კავშირშია, ან საქართველო და ხორვატია?!

საქმე ისაა, რომ ხორვატიის ქალაქ ზაგრებში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი მოციგურავეთა შორის. პირველ დღეს საქართველოს სახელით ოთარ ჯაფარიძე და ანგელინა ტელეგინა



გამოვიდნენ, ხოლო 25-დან შეჯიბრებაში ელენე გედევანიშვილი ჩაერთო. მოკლედ, ქართველებს უმაღლესი დონის ორი მოციგურავე გვყავს - ჯაფარიძე და გედევანიშვილი (ოთარის მეწყვილე ტელეგინა რუსია).

შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ ორი მოციგურავე ევროპის ჩემპიონატზე ცოტაა. საქართველო ხომ მაღალმთიანი ქვეყანაა და რაც უფრო ზემოთ ადიხარ, მით უფრო ცივა, მეტი თოვლი და მეტი ყინულია. ამიტომ, სპორტის ზამთრის სახეობებში მეტი მაღალი დონის სპორტსმენი უნდა გვყავდეს. ან რატომ არ უნდა იმართებოდეს მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატი საქართველოში? აკი ვთქვით, რომ საამისოდ ჩვენთან უკეთესი პირობებია, ვიდრე ხორვატიაში.

სწორედ ახლა მივადექით მთავარს: რომელ პირობებზეა მსჯელობა? ბუნებრივი პირობები მართლაც არის, მაგრამ საკითხავია, სპორტსმენებს თუ აქვთ სათანადო მოსამზადებელი პირობები?

ამას წინათ „კვირის პალიტრის“ საიტისთვის მოვამზადე სტატია მოციგურავეებზე, მოციგავეებსა და მოთხილამურეებზე. როგორც აღმოჩნდა, საქართველოში არ არსებობს საციგაო ტრასა. 1972 წელს აგებული სპეციალური ტრასა 90-იან წლებში განადგურდა. ამიტომ მოციგავეებს ძირითადად უცხოეთში უწევთ ვარჯიშების ჩატარება (თუმცა არც იმის აღუნიშნაობა ეგების, რომ ახალი ტრასის მშენებლობის დაწყება გაზაფხულზე იგეგმება).

საოცარია, მაგრამ ფაქტია - საერთაშორისო ზომების საციგურაო მოედანი საქართველოში მხოლოდ ბათუმშია. ისიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიტანეს და დიდი ხნის განმავლობაში უმოქმედოდ იყო, თვე-ნახევარია, რაც გაიხსნა... თბილისში არათუ საერთაშორისო სტანდარტების, მცირე ყინულის მოედანიც არ არის და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრები, რომელთა უმეტესობა თბილისელია, ბათუმში ცხოვრობს.

ასეთ პირობებში მოციგურავეთა შორის ევროპის ჩემპიონატის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორის ყოლა, პარადოქსულადაც შეიძლება მოჩანდეს. ელენე გედევანიშვილისგან წლეულსაც ველოდით მაღალ შედეგს, გამოგიტყდებით, მისი თავისუფალი პროგრამით სრიალი ძალიან მომეწონა, მაგრამ სპეციალისტების შეფასებით ორი პროგრამის ჯამში მე-14 ადგილი დაიკავა.

ოთარ ჯაფარიძისა და ანგელინა ტელეგინას დუეტმა კი ევროპის ჩემპიონატზე დებიუტი მე-20 ადგილით აღნიშნა. შეგახსენებთ, რომ აქამდე ოთარი ამერიკელ ელისონ რიდთან ერთად ციგურაობდა, მაგრამ გასულ წელს წყვილი დაიშალა...

ზემოთ კი ვთქვით, თბილისში ყინულის მოედანი არ არისო, მაგრამ უნდა დაგვეკონკრეტებინა: ყინულის მოედანი პროფესიონალებისთვის არ არის, თორემ, ჩემთვის, სხვა მოყვარულებისთვისა და ციგურაობას მოწყურებული ბავშვებისთვის არის - გლდანის პარკში. გუშინაც ვიდექი ყინულზე (ახლობელ ბავშვს გავყევი), მაგრამ ჩემი ზომის ციგურები არ იყო, ორი ზომით პატარა მერგო და ახლაც კოჭლობით დავდივარ.

ეს მოედანი ჩემი ფანჯრიდან კარგად ჩანს და მისი გახსნის დღიდან (დეკემბრის ბოლოდან) ყურადღებით ვაკვირდები ციგურაობაში მომავალ ევროპის პრიზიორებს. სკოლებში სწავლა 21 იანვრიდან დაიწყო. მანამდე გლდანში ციგურაობის ბუმი იყო. მოედანზე შესვლისთვის იანვრის ყინვაში მოზარდებს ლოდინი 3-4 საათიც (არ ვამეტებ) კი უწევდათ.

ეს იმას ნიშნავს, რომ სპორტის ეს ეგზოტიკური (არადა, ინფრასტრუქტურა აწყობილი რომ იყოს, ეგზოტიკური სულაც არ იქნებოდა) სახეობა ქართველ ახალგაზრდებს ძალიან მოსწონთ. მეტიც: ერთი და იგივე ბავშვი რამდენიმეჯერ შემხვდა, თუ პირველი ნახვისას ისიც ჩემსავით ბორძიკობდა, ბოლო შეხვედრისას პროფესიონალი მოციგურავესავით ტრიალებდა.

ამდენი იმიტომ დავწერე, რომ ბოლოს მეთქვა - საქართველოში პატარებს სათანადო პირობების შექმნა სჭირდებათ, თუ ევროპის ჩემპიონები ვერ გახდებიან, სპორტულად, ჯანმრთელად ხომ მაინც იცხოვრებენ?! თბილისში ვინმეს შვილის ციგურაობაზე შეყვანა რომ დასჭირდეს, რა უნდა ქნას? ჩემს რაიონში ბავშვები მაღალი აღმართიდან ციგებით რომ ეშვებიან, ერთ რამედ ღირს მათი ყურება, მაგრამ რად გინდა, მათგან თითქმის არავინ იცის, რომ არსებობს სპორტის სახეობა, რომელსაც ციგაობა ეწოდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**








დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608